www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 18 აგვისტო, 2003 წელი. №222 (434) — ფასი 30 თეთრი


## საააკაშვილის ხმაურიანი ვოიაჟი ზუგდიდში

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"ნაციონალური მოძრაობა" ედუარდ შევარდნაძის მიერ დაგებულ ბარიკადებს ყოველთვის გადალახავს,"** - ასეთი განცხადება გუშინ ზუგდიდის რაიონში მოსახლეობასთან შესახვედრად ჩასულმა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდი-ხობის გზაზე, სოფელ ცაიშთან გამართული დიდი გაწევ-გამოწევის, შეხლა-შემოხლისა და ცემა-ტყეპის შემდეგ გააკეთა.

"ნაციონალური მოძრაობის" წევრებსა და მათ ლიდერს ზუგდიდის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, საზოგადოებრივი მოძრაობა "დიდი აბრეშუმის გზისა" და ადგილობრივი "მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენლები, მთლიანობაში, დაახლოებით, 200 კაცი, ზუგდიდის შესასვლელში, დილის რვა საათიდან უცდიდა. დილიდანვე გადაკეტილი იყო საავტომობილო მაგისტრალი. შეკრებილები სააკაშვილის ზუგდიდში ჩასვლას აპროტესტებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ "ნაციონალური მოძრაობისა" და მისი ლიდერის ზუგდიდთან მიახლოებას არაფრით დაუშვებდნენ. **"მიშა ზუგდიდში შესვლას მხოლოდ ჩვენი ცხედრების გადაბიჯებით შეძლებს,"** - ასეთი გახლდათ დილაადრიან შეკრებილთა მუქარა.

პროტესტის მიზეზად შეკრებილები სააკაშვილის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლას ასახელებდნენ. "მან თავს უფლება მისცა, შეურაცხმყოფელი განცხადებები გაეკეთებინა ზუგდიდში მცხოვრები ყრუ-მუნჯების მისამართით, და საერთოდ, მათ მიმართ, ვინც ხელისუფლების მხარდამჭერად მოიაზრება," - ასეთ არგუმენტს იშველიებდნენ აქციის მონაწილეები, რომლებმაც პოზიციები მათთან მოსალაპარაკებლად მისულ სენაკის, ფოთის და ზუგდიდის ადგილობრივ "ნაციონალებთანაც" არ დათმეს. "ნაციონალები" დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდნენ მათი ლიდერისთვის გზის დათმობას, თუმცა, მათი ხვეწნა-მუდარა აქციის მონაწილეებთან უშედეგო


გაგრძელება A2 გვერდზე


## კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეთა ვინაობა კვლავ გასაიდუმლოებულია

*უშიშროების სამინისტრო ოთხშაბათს, მთავრობის მომავალ სხდომაზე, სავარაუდოდ, ვერ წარადგენს იმ სახელმწიფო მოხელეებისა და პარლამენტართა სიას, ვინც არალეგალური საწვავით მოვაჭრე ბენზინგასამართი სადგურების მფლობელები არიან.*

უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, კონკრეტული დამნაშავე პირების დასახელებას სათანადო მტკიცებულებების მოპოვება სჭირდება, რაც "სერიოზული, შრომატევადი და მძიმე სამუშაოა".

**"ეს სამუშაოები გარკვეულ დროს მოითხოვს,"** - თქვა უშიშროების სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე უშიშროების სამინისტროსთვის პირველი ამოცანაა, ალიკვეთოს საწვავის კონტრაბანდა და გამოვლინდეს ის "ხვრელები", საიდანაც კონტრაბანდული პროდუქცია შემოდის.

მისივე განცხადებით, ანტიკონტრაბანდული ოპერაციის პირველი შედეგების შეჯამება 10 სექტემბერს მოხდება, იმ დროისთვის, როდესაც სამინისტროს მოთხოვნით საწვავის რეალიზატორები ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას სრულად და კანონის ფარგლებში განახორციელებენ.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის ოთხშაბათის სხდომაზე სამართალდამცველ სტრუქტურებს კონტრაბანდული საწვავის რეალიზაციაში მხილებული ბენზინგასამართი სადგურების მეპატრონეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ამ საქმეების სასამართლომდე მიყვანა კატეგორიულად მოთხოვა.

პრეზიდენტმა ბოლო ვადად მთავრობის მომავალი სხდომა დაასახელა, სადაც შევარდნაძის მოთხოვნით, უშიშროების მინისტრმა ბენზინგასამართი სადგურების რეალური მფლობელები უნდა დაასახელოს და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინოს.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა მთავრობის სხდომაზე სამართალდამცავების მიერ ანტიკონტრაბანდული ოპერაციის პირველ შედეგებზე წარმოდგენილი ინფორმაცია არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა. არადა, როგორც გითხარით, უშიშროების სამინისტრო პრეზიდენტის მოთხოვნას ვერც ამჯერად შეასრულებს - მთავრობის სხდომაზე ვერც კონტრაბანდისტ ხელისუფალთა სიას და, შესაბამისად, ვერც მათ წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს წარადგენს.

**პრაიმ-ნიუსი**

## კაციჭამია დიქტატორის აღსასრული

შაბათს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დიქტატორი, უგანდის ყოფილი მმართველი იდი ამინი გარდაიცვალა. მას 1970-იან წლებში ასობით ათასი თანამემამულის დახოცვაში ედებოდა ბრალი. იდი ამინმა თავისი სიცოცხლე საუდის არაბეთის ერთ-ერთ საავადმყოფოში 78 წლის ასაკში დაასრულა.

როგორც ცნობილია, ის ივლისის თვეში კომაში ჩავარდა, თუმცა ერთი კვირის შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ექიმები გადარჩენის იმედსაც იძლეოდნენ. თუმცა, უგანდის ყოფილ დიქტატორს ვერაფერმა უშველა. შაბათსვე, ის საუდის არაბეთის მიწაზე დაკრძალეს.

იდი ამინი უგანდას რვა წლის განმავლობაში მართავდა. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე მან ქვეყნის ეკონომიკის "აფრიკანიზება" დაისახა მიზნად და საქმიან სექტორში დომინანტ აზიელებს უგანდის დატოვება უბრძანა. დიქტატორმა მათ ამისათვის ოთხმოცდაათდღიანი ვადა დაუწესა. ამის შემდეგ ამინმა მათი ქონების კონფისკაცია მოახდინა და უგანდის საწარმოები და ქარხნები თავის ახლობლებს დაურიგა, რამაც ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახება გამოიწვია. ამის შემდეგ კი, ამინი მისდამი ოპოზიციურად განწყობილ ინტელექტუალებს დაერია. მათი


გაგრძელება A2 გვერდზე




XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დიქტატორი იდი ამინი

## ტირანიის პრინციპები

*წინამდებარე სტატია დასავლური დემოკრატიის მიერ დანახული ტირანიის ერთგვარ "ანატომიურ" ანალიზს წარმოადგენს. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება, ქვემოთთქმულიდან რამდენი რამ წარმოადგენს ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილს. ჩვენი სამშობლო კომუნისტური ტირანიის ტვირთის ქვეშ საკმაო ხანს იხუთებოდა, თუმცა ამან ამგვარი სატანჯველგამოვლილი ერისათვის აუცილებელი სიფხიზლე არ შემატა. შესაძლოა, ეს პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ კონცეპტუალური და თეორიული თვალსაზრისით, ყველაზე მწირი წარმოდგენა ტირანიის შესახებ სწორედ იმ ერებს აქვთ, რომელთაც ამგვარი ტანჯვა საკუთარ თავზე გამოუცდიათ. ყველაზე ნათელი შეხედულება კი ამ ფენომენზე იმ საზოგადოებებს გააჩნიათ, რომლებსაც ეს განსაცდელი ნაკლებად შეხებიათ და რომლებშიც თავისუფლების შენარჩუნებისა და დაცვის დიდი ტრადიციაა. არსებობს ნიშნები იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს ისევ მზადაა ტირანიასთან შესაგუებლად. ის ხალხი კი, რომელიც აუღელვებლობის კომფორტს საკუთარ პრინციპებზე მაღლა აყენებს, ორივე მათგანს მალე კარგავს.*

*მთარგმნელი*

ჯონ როლანდი

### ტირანიის დეფინიცია

ტირანია, ჩვეულებრივ, დაუნდობელ და რეპრესიულ მოვლენად მიიჩნევა და, მეტწილად, ეს ასეცაა. მაგრამ ამ ტერმინის პირველადი დეფინიცია იმ რეალობის აღწერას ემსახურება, სადაც მმართველს მართვისათვის აუცილებელი ლეგიტიმურობა არ გააჩნია, იმისგან დამოუკიდებლად, ეს მმართველი კაცთმოძულეა თუ ქველი. ისტორიულად, ე.წ. "კეთილგანზრახვიანი" ტირანიები, როგორც წესი, თავს საკმაოდ დაუცველად გრძნობდნენ და საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას მზარდი რეპრესიულობით ცდილობდნენ. ამდენად, მმართველობა, რომელიც თავდაპირველად კეთილგანწყობილად გამოიყურება, საკუთარი არსით ძლიერ სახიფათოა. ერთადერთი თავდაცვა ასეთი ხიფათისაგან ძალაუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნებაა, რაც ხალხის წინაშე უწყვეტი პასუხისმგებლობის არსებობას ნიშნავს. ეს კი მიიღწევა კონსტიტუციის საშუალებით, რომელიც უმაღლეს ოფიციალურ პირთა არჩევისა და გადარჩევის მექანიზმებს აკანონებს - ხელისუფლების განშტოებათა


გაგრძელება A3 გვერდზე


## შავი ფული თავს სახელისუფლო ბლოკში მოიყრის

ოპოზიციური პარტიების ლიდერების ნაწილი მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე მეტი შავი ფული სახელისუფლო ბლოკ „ახალი საქართველოსთვის" და ხელისუფლებასთან დაახლოებულ პარტიებში მოიყრის თავს.


A2


## ყველაზე მეტი შანსი ავთანდილ ჯორბენაძეს აქვს?!

პრეზიდენტობის კანდიდატობის ყველაზე მეტი შანსი სახელმწიფო მინისტრს, მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეს ავთანდილ ჯორბენაძეს აქვს, - ამბობს ვახტანგ რჩეულიშვილი


A2


## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | ☼ |
| ქუთაისი | 29 | ☼ |
| ბათუმი | 26 | ☼ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| თელავი | 31 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.3761 |
| გირვანქა სტერლ | 3.3794 |
| რუბლი | 0.0695 |

## „თქვენი ცხოვრება სავსეა რისკებით"

### საქართველოში ბევრი "ორ დაფაზე" თამაშობს

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაწყებული მშენებლობა სადავო ტერიტორიებს უახლოვდება. "ბრიტიშ პეტროლიუმმა" პირველად აღიარა, რომ მარშრუტის ბორჯომის რაიონზე გატარება მათი ინიციატივა იყო. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, გოგი მჟავანაძეს ოპონენტი ექსპერტებისა თუ პასუხისმგებელი პირების კონსულტაციების ორგანიზება დაევალა. მართალია, ნავთობკომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" ("ბი-პი") მიერ შერჩეული მარშრუტის გასწვრივ მიწის მოსარგებლეებისათვის კომპენსაციების გადახდაც კი სრულდება, მაგრამ პროცედურულად მარშრუტის ორი მონაკვეთი - ცხრაწყარო-კოდიანას და ე.წ. ბორჯომისა და წალკის - ჯერ დამტკიცებული არ არის.*

გიორგი გახელაძე

გასულ კვირას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული შერეული შეხვედრა პირველად შედგა. მასპინძელმა თედო ჯაფარიძემ თავად აღიარა, რომ ინვესტორი კომპანიის "ბი-პი"-სა და გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, ქართველი მეცნიერები და საზოგადოების წარმომადგენლები, აქამდე მას ერთად არ მოუწვევია. შეხვედრის ინიციატორები ქართველი ჰიდროგეოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაცია "მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის" იყვნენ. "ბი-პის" აქაური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ედ ჯონსონი და მილსადენების კომპანიის შეფი დევიდ ვუდვორდი, თითქმის ერთი წელია, საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მარშრუტის შერჩევისას ჯავახეთის უფრო იაფ ვარიანტზე უარის თქმის პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობასა და, უშუალოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს აკისრებდნენ. სწორედ ამით აიხსნება უშიშროების საბჭოს უშუალო ჩართვა ამ პროცესში.

თედო ჯაფარიძემ საშუამავლო სიტყვა გარემოსდამცველებსა და მენავთობეებს შორის ამ უკანასკნელებისადმი აშკარა სიმპათიის გამოხატვით დაიწყო:


გაგრძელება A2 გვერდზე


## სტრასბურგის სასამართლო ასანიძის საქმეს განიხილავს

***"საქართველოს ხელისუფლებას სერიოზულ საჯარიმო სანქციებს დააკისრებენ და მას ბიუჯეტიდან სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს,"*** *- ასეთ ვარაუდს გამოთქვამს არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე. ასეთ მკაცრ გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დამცველი უმაღლესი სასამართლო გამოიტანს, რომელიც აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გამომწყვდეული ბათუმის ექსმერის თენგიზ ასანიძის საქმის განხილვას იწყებს.*

ინგა ალავიძე

**"თენგიზ ასანიძე საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა, მაგრამ მისი გათავისუფლება არ მოხერხდა, ასანიძე რამდენიმე წელია უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ამიტომაც სტრასბურგის სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებს და მისი უკანონო პატიმრობისთვის დაწესებული ჯარიმის გადახდა, ალბათ, აჭარის ბიუჯეტიდან მოხდება,"** – აცხადებს ნანა კაკაბაძე.

სტრასბურგის სასამართლომ, 2-წლიანი პროცედურის შემდეგ, საბოლოოდ წარმოებაში მიიღო ასანიძის საქმე. პროცესი - ასანიძე საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ -

19 ნოემბერს დაიწყება. მას სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატა განიხილავს, რომელიც 17 მოსამართლისგანაა დაკომპლექტებული, და მის მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოო იქნება – გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. უმაღლესი სასამართლოსთვის ასანიძის საქმე უპრეცედენტოა და სწორედ


გაგრძელება A2 გვერდზე


## „შევრონი რალი საქართველო 2003" ფარეხში შედგა

გიგა გურასაშვილი

რალიში ევროპის ჩემპიონატის მე-4 ეტაპის დაწყებამდე საქართველოს საავტომობილო ფედერაციის (სსფ) პრეზიდენტმა ვიქტორ თოდაძემ იმედი გამოთქვა, რომ "შევრონი რალი საქართველო 2003" ქართული ეკიპაჟებისთვის წარმატებული იქნებოდა. ფედერაციის პრეზიდენტს იმედის საბაბს შედარებით განახლებული თუ გაუმჯობესებული ავტოპარკი აძლევდა. თუმცა, სსფ-ის ხელმძღვანელისა და იმავდროულად მოქმედი პილოტის ვარაუდი არ გამართლდა.

ისევე როგორც ადრეულ ეტაპებზე, ანუ მაშინ, როდესაც ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატის კანდიდატ ღონისძიებად იწოდებოდა და ზესამეულში ყოველთვის უცხოური ეკიპაჟები აღწევდნენ წარმატებას, მათ კვლავაც შეინარჩუნეს ასეთი ტენდენცია. თუ 2001 და 2002 წლების კანდიდატ ღონისძიებებზე ყველაზე უკეთ რუსული ეკიპაჟები დააქროლებდნენ საკუთარ ავტომანქანებს, ამჯერად ესტაფეტა თურქებმა ჩაიბარეს. თუმცა, ერთი ადგილი რუსებსაც დარჩათ.


გაგრძელება A4 გვერდზე




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ევროპის ჩემპიონატის საქართველოს გამარჯვებულების ზეიმი

## ერაყში დივერსიები და თავდასხმები გრძელდება

ერაყში, სადამ ჰუსეინის გამალებული ძებნის კვალდაკვალ კოალიციის ჯარისკაცებზე თავდასხმები გრძელდება. გუშინ ქალაქ ბასრას მახლობლად ორმხრივი სროლის დროს დანიელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, როდესაც მან რეიდზე შესამოწმებლად სატვირთო ავტომანქანა გააჩერა. შეტაკების შედეგად, ასევე ორი თავდამსხმელი ერაყელიც დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ ეს დანიელი ჯარისკაცის დაღუპვის პირველი შემთხვევაა. ოთხასი დანიელი სამხედრო მოსამსახურე ერაყში ივლისის თვეში ჩავიდა. წინა დღეს კი ამერიკელ ჯარისკაცებზე ბაღდადში მორიგი თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგადაც ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა. ისინი ბაღდადის ერთ-ერთი რესტორნიდან გამოდიოდნენ და მოულოდნელად უცნობი პირების მიერ გახსნილი ცეცხლის რკალში მოექცნენ.

პარალელურად, დივერსიის შედეგად დაზიანებულ ნავთობსადენზე აღდგენითი სამუშაოები გრძელდება. ერაყში აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ნავთობსადენის სრული აღდგენისათვის, სულ ცოტა, ერთი თვე მაინც არის საჭირო. აღნიშნული მილსადენი ჩრდილოეთ ერაყში, სადამის მშობლიური ქალაქის თიქრითის მახლობლად მდებარეობს. მისი საშუალებით ერაყული ნავთობი ხმელთაშუა ზღვაში მდებარე თურქულ პორტს – ჯეიჰანს მიეწოდებოდა. ნავთობსადენი ასამოქმედებლად უკვე მზად იყო, როდესაც სადამის ერთგულმა ფაედინებმა მასზე მძლავრი აფეთქება მოაწყვეს და მწყობრიდან გამოიყვანეს.

ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა განაცხადა, რომ ნავთობსადენის მუშაობის შეფერხება ერაყელ ხალხს ყოველდღიურად სულ მცირე შვიდი მილიონი ამერიკული დოლარის ზარალს აყენებს. კოალიცია იმედოვნებდა, რომ ნავთობსადენიდან შემოსული მოგება ერაყის დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდებოდა.

ამჟამად, მილსადენის აღდგენისათვის გამალებული სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა მშენებლები ყოველდღიურად საბოტაჟის მცდელობებს და სხვადასხვა სახის სირთულეებს აწყდებიან.

ამასთან დაკავშირებით, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი ახალი ინციატივით გამოვიდა. მან მსოფლიოს მთავრობებს ერაყისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაზრდის წინადადებით მიმართა, რადგან ახლო მომავალში ერაყული ნავთობის გაყიდვა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

## სააკაშვილის ხმაურიანი ვოიაჟი ზუგდიდში

პირველი გვერდიდან

აღმოჩნდა. სიტუაციამ კი კულმინაციას ზუგდიდ-ხობის გზაზე მაშინ მიაღწია, როდესაც სააკაშვილის ესკორტი გამოჩნდა. იქ შეკრებილმა ყრუ-ბუზღუნმა, "მოქალაქეთა კავშირის" ახალგაზრდა წარმომადგენლებმა და "დიდი აბრეშუმის გზის" წევრებმა მიხეილ სააკაშვილის მათთან მიახლოება ხელიხელჩაკიდებულებმა და მანქანაზე გაბოროტებულებმა გააპროტესტეს. ერთი სიტყვით, საქმე იქამდე მივიდა, რომ აქციის მონაწილეებსა და სააკაშვილის მომხრეებს შორის საათობრივი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ინციდენტში პოლიცია არ ჩარეულა. ცემა-ტყეპას შორიდან ადევნებდა თვალს ოცკაციანი შეიარაღებული ჯგუფიც, რომლის წევრებიც აქციის მონაწილეებს შორიდან უმაგრებდნენ ზურგს. ხელკეტებით, მუშტებითა და ქვებით მებრძოლი დაპირისპირებული მხარეების ჩხუბი ბოლოს იმით დამთავრდა, რომ "ნაციონალების" აქტივისტებმა ამ ლიდერისთვის გზის გასუფთავება მაინც მოახერხეს და სააკაშვილი ზუგდიდში შევიდა. [illegible] გამართა შეხვედრა, ენგურჰესის თანამშრომლებიც მოიკითხა და თავისი სათქმელიც თქვა. დამხვდურებმა და "ნაციონალების" ლიდერმა ხელისუფლების კრიტიკით ერთად იჯერეს გული.

## სტრასბურგის სასამართლო ასანიძის საქმეს განიხილავს

პირველი გვერდიდან

ამიტომაც მისი განხილვა, მცირე პალატის გვერდის ავლით, პირდაპირ დიდ პალატას დაევალა.

სტრასბურგის სასამართლოს პასუხი ასანიძეების ოჯახმა რამდენიმე დღის წინ მიიღო. თენგიზ ასანიძის ვაჟი დავით ასანიძე, რომელიც პროცესზე მომჩივან მხარეს წარმოადგენს, ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას იმედით ელის. **"უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ, რომლითაც აჭარის პროკურატურის მიერ ახლადაღმოჩენილი გარემოების მოტივით მამაჩემის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეწყვიტა, თენგიზ ასანიძე გაამართლა და პრეზიდენტის შეწყალება ძალაში დატოვა, ასლან აბაშიძემ განაცხადა: მზად ვარ ასანიძის საქმეს წერტილი დავუსვა, ოღონდაც საქართველოს მართლმსაჯულებას არ ვენდობი, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მოვიქცევიო. ამ განცხადების შემდეგ სტრასბურგის სასამართლოს მივმართე და 2001 წლის 29 იანვარს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ამოქმედება მოვითხოვე. ორწლიანი პროცედურის გავლის შემდეგ სტრასბურგის სასამართლომ საქმის მოსმენა დანიშნა,"** – აცხადებს დავით ასანიძე.

ერთი სიტყვით, ასანიძის საქმის მოსმენა სტრასბურგში 19 ნოემბერსაა დანიშნული. საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოს წინაშე მთელ რიგ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა.

## „კოლხეთის აყვავების დასაწყისი"

16 აგვისტოს ურეკში "იმედის ქალაქის" დაფუძნების ცერემონია გაიმართა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"იმედის ქალაქის" დაფუძნებას გამოეხმაურნენ და საქართველოში მისალოცი წერილები გამოაგზავნეს მარგარეტ თეტჩერმა, ბილ კლინტონმა, პრინცმა მაიკლმა და ბორის ბერეზოვსკიმ.

ურეკში ჩასულმა შევარდნაძემ ნანახს "სასწაული" და "დიდი ისტორიის მქონე კოლხეთის აყვავების დასაწყისი" უწოდა. მან პირველმა მოაწერა ხელი ქალაქის დაფუძნების დეკლარაციას და პატარკაციშვილთან ერთად, ქალაქის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.

"ურეკიდან დაიწყება საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა", - განაცხადა ბიზნესმენმა, რომელიც აპირებს, ურეკი ძლიერ და მდიდარ ქალაქად აქციოს, სადაც "თავმოყრილი იქნება საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის საუკეთესო მიღწევები".

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად, ურეკში გაიხსნა კინოთეატრი "კოლხიდა", მუშაობს 24-საათიანი ინტერნეტ-კაფე, ამოქმედდა 24-საათიანი სამედიცინო მომსახურება და სამაშველო სამსახური. დასრულდა ურეკის მუსიკალური სტუდიის სარემონტო სამუშაოებიც და სექტემბრიდან აქ 40 ბავშვი ისწავლის. მოეწყო წყალკანალიზაციის სისტემა და სხვა. **ინტერ-პრესი**

## შავი ფული თავს სახელისუფლო ბლოკში მოიყრის

ოპოზიციური პარტიების ლიდერების ნაწილი მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე მეტი შავი ფული სახელისუფლო ბლოკ „ახალი საქართველოსთვის" და ხელისუფლებასთან დაახლოებულ პარტიებში მოიყრის თავს.

სახალხო პარტიის ლიდერის მამუკა გიორგაძის აზრით, სახელისუფლო ბლოკში ფულის მანქანა სექტემბერში ამოქმედდება. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ბლოკში საარჩევნო კვოტების საკითხი გადაწყდება და „გაარკვევენ, ვის რამდენი ერგება".

ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის აზრით, შავი ფულის შოვნაში ქართულ პოლიტიკაში იმდენი ჩემპიონია, რომ ძალიან გაძნელდება ამ საკითხში ვინმეს პირველობა მიაკუთვნო.

ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის თავმჯდომარეს გიორგი კობახიძეს მიაჩნია, რომ ტრადიცია არც ამ არჩევნებისთვის დაირღვევა და, „მოქალაქეთა კავშირის" ტრადიციებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღებული ახლა „სახელისუფლო ბლოკში" იმოძრავებს.

„არსებობს შავი ფულის სხვა ტიპიც. კერძოდ, საარჩევნო კამპანიების უცხოეთიდან დაფინანსება. აქ უკვე სმკ-სთან ერთად დიდ გამოცდილებას ყოფილი „მოქალაქეთა კავშირელებიც" ფლობენ", — აცხადებს კობახიძე. **მედია-ნიუსი.**

## ყველაზე მეტი შანსი ავთანდილ ჯორბენაძეს აქვს?!

ხელისუფლების მხარდამჭერ ბლოკს - "ახალი საქართველოსთვის", სადაც ამჟამად 5 პოლიტიკური ორგანიზაციაა გაერთიანებული, 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი კანდიდატურა ეყოლება და ამ საკითხის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოზიცია იქნება.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ვახტანგ რჩეულიშვილმა განუცხადა.

მისი აზრით, ჯერჯერობით ბლოკს არ შეუძლია განსაზღვროს ვისი კანდიდატურა იქნება გამსვლელი, თუმცა ყველაზე მეტი შანსი სახელმწიფო მინისტრს, მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეს ავთანდილ ჯორბენაძეს აქვს.**პრაიმ-ნიუსი**

## კაციჭამია დიქტატორის აღსასრული

პირველი გვერდიდან

უდიდესი ნაწილი მისი მმართველობის წლებში განადგურდა, ხოლო გადარჩენილები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ. ცნობილია ასევე ისიც, რომ იდი ამინი არა მარტო თავის მოწინააღმდეგებს, არამედ უდანაშაულო ადამიანებსაც განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდა. მისთვის არც კანიბალიზმი იყო უცხო და ამას სიამოვნებით აღიარებდა კიდეც.

იდი ამინი 1979 წელს ისევ უგანდელმა ემიგრანტებმა და ტანზანიის ჯარებმა ჩამოაგდეს. ამის შემდეგ ის დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ლიბიაში ცხოვრობდა, რის შემდეგაც საუდის არაბეთში გადავიდა. ჩამოგდების შემდეგ ამინი სამშობლოში ერთი დღითაც კი არ დაბრუნებულა.

საინფორმაციო წყაროები უგანდის დედაქალაქ კამპალადან იუწყებიან, რომ მოსახლეობა ამინის მმართველობის წლებს დღესაც შიშით იხსენებს. ყოფილი დიქტატორის სიკვდილმა მის სამშობლოში დიდი სიხარული გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც ივლისის თვეში ამინის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "ჰუმან რაითს უოჩმა" გამოთქვა მწუხარება, რომ იდი ამინი თავისუფლებაში კვდებოდა და არა ციხეში.

## „თქვენი ცხოვრება სავსეა რისკებით"

პირველი გვერდიდან

**"ამ პროექტების სტრატეგიული მნიშვნელობის ახსნას არ შევუდგები, ყველასთვის ცნობილია. ამასთან, ჩვენდა სამწუხაროდ, "ბი-პი" ერთადერთი მსხვილი უცხოური კომპანიაა, რომელიც საქართველოში ამდენხანს მუშაობს. თუმცა, ვიცი, რომ ნავთობსადენის მარშრუტთან დაკავშირებით გათვალისწინებულია მხოლოდ შენიშვნების ნაწილი."**




*ედ ჯონსონი პირველად აღიარებს, რომ ბორჯომზე ნავთობსადენის გატარება მათი ინიციატივა იყო, ამ საკითხით თედო ჯაფარიძის უწყება ინტერესდება*

რაზედაც გარემოს დაცვის მინისტრისგან, ნინო ჩხობაძისგან დასტური მიიღო: **"ჩვენ არ დაგვისრულებია კონსულტაციები "ბი-პისთან". ბორჯომის მონაკვეთის დამატებითი შესწავლის მასალები ახლახან გადმოგვცეს და ახლა მიმდინარეობს ექსპერტიზა, ხოლო წალკის მონაკვეთის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა."** მანვე შეახსენა დამსწრეებს, რომ 12 ივნისს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა პროექტის საჯარო განხილვების 120-დღიანი პროცედურა დაიწყეს, რის საფუძველზეც მათ საკრედიტო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. სექტემბერში საქართველოში ოთხი ასეთი შეხვედრა გაიმართება – თბილისსა და ბორჯომში.

რაც შეეხება ხსენებულ პირველ შერეულ კონსულტაციას, იგი საკმაოდ მძაფრად წარიმართა. მაგალითად, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ ალექსანდრე თვალჭრელიძემ განაცხადა, რომ მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შეფასებაზე სახელმწიფო დასკვნა მათ უნდა გასცენ. **"მაგრამ, შესაბამისი მასალები "ბი-პისგან" ჩვენ არ მიგვიღია. ბატონო თედო, მოგვაწოდეთ მასალები და ორ კვირაში მიიღებთ გამართულ სახელმწიფო დასკვნას",** - დაბეჯითებით თქვა მან. თვალჭრელიძე იმ მანკიერ პრაქტიკაზეც ალაპარაკდა, როდესაც **"ბევრი სპეციალისტი "ორ დაფაზე" თამაშობს: სახელმწიფოსაზეც და არასამთავრობო სექტორისაზეც"**. მან, უპირველესად, საკუთარი თანამშრომლები იგულისხმა. ერთი თვეც არ არის გასული, რაც მან საჯაროდ განაცხადა, რომ "ბი-პის" მიერ ორგანიზებული დამატებითი შესწავლის მეთოდოლოგია პრინციპულად მცდარად მიაჩნია. ასეთი მეტამორფოზა, სულ ცოტა, გასაკვირი იყო იმ ადამიანისაგან, რომელიც შარშან, "24 საათის" რედაქციაში მოწყობილი დისპუტებისას, ნავთობსადენის უსაფრთხოების უნიკალობასა და "თითქმის ნულოვან" რისკებზე საუბრობდა. ალბათ, ამიტომ უყურებდნენ მას, ედ ჯონსონი - გაოცებით, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგები - უნდობლობით.

ქართველი ექსპერტები მთელი შეხვედრის განმავლობაში დაბეჯითებით საუბრობდნენ ცხრაწყარო-კოდიანასა და წალკის მონაკვეთებზე ნავთობსადენის გატარების დაუშვებლობასა და აუნაზღაურებელ ზიანზე, რასაც მშენებლობა თუ შემდგომი ექსპლუატაცია გამოიწვევს. "განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის" ექსპერტმა ედიშერ კაცაძემ ედ ჯონსონს "ბი-პის" მიერ ჩატარებული ბოლოდროინდელი გეოლოგიური კვლევების შესახებ დასკვნა გადასცა. **"თუ თქვენგან წარმოდგენილი მასალა საბოლოოა, მაშინ არ გვაკმაყოფილებს, რადგან კოდიანას მეწყრული ფერდობის მდგრადობა დასაბუთებული არ არის,"** – განაცხადა კაცაძემ და იქვე აღნიშნა, რომ ალტერნატივების განხილვისას ნავთობკომპანიის მიერ შეთავაზებული 10 კმ-იანი გვირაბი შავი კლდის (იგივე ყარაყაი) მიმართულებით მათთვის მისაღებია. ჯონსონმა დაადასტურა, რომ კოდიანას ფერდზე გეოლოგიური ბურღვისას 40 მეტრის სიღრმეზეც კი მყარ ქანებამდე ვერ დავიდნენ.

ძალიან მკაფიო იყო პროფესორ უჩა ზვიადაძის განცხადება: **"მე არაერთხელ წარმოგიდგინეთ დეტალური დასკვნა, რომ ბორჯომის მონაკვეთი არის ამ მარშრუტის დამოკლეს მახვილი. რომ არ არსებობდეს მილსადენის გაყვანის სხვა შესაძლებლობა, მაშინ საქართველოს ამ პროექტზე უარის თქმა მოუწევდა."** ამგვარი რადიკალიზმით აშკარად გაღიზიანებულმა თედო ჯაფარიძემ ირონიულად იკითხა: **"ალტერნატივაში რუსეთზე გატარებას გულისხმობთ?"**. ამ დროს იქ შეკრებილი ყველა მეცნიერი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ისინი ეკოლოგიურად უსაფრთხო მარშრუტის დადგენას სწორედ ამ მილსადენის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ითხოვენ და **"რაც მთავარია, ასეთი გამოსავალი არსებობს".**

ხსენებულ ექსპერტებთან ერთად, აკადემიკოსმა გიორგი გიგაურმა და რამაზ ღამბაშიძემ ედ ჯონსონს იქვე, რუკაზე დეტალურად აღუწერეს ალტერნატიული მარშრუტები, რაზედაც კამათი არ შემდგარა. ცხრაწყარო-კოდიანაზე არანაკლებ დეტალურად იყო აღწერილი წალკის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სტრატეგიული რეზერვის მნიშვნელობა თბილისის წყალმომარაგებისათვის. შეხვედრის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ზვიად ბოკუჩავამ თედო ჯაფარიძეს პირდაპირ დაუსვა კითხვა: "**აქამდე "ბი-პის" ხელმძღვანელობაცა და ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურიაც სულ გვეუბნებოდნენ, რომ ე.წ. ახალქალაქის მარშრუტზე უარყოფითი გადაწყვეტილება, გეოპოლიტიკური მოსაზრებებით, საქართველოს უშიშროების საბჭომ მიიღო. თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, შესაბამისი დოკუმენტი არასოდეს გვინახავს. ამ მარშრუტის შესწავლაზეც კი უარის თქმა რატომ მოხდა?"**. თედო ჯაფარიძემ მკაფიოდ თქვა, რომ გადაწყვეტილება ქვეყნის პრეზიდენტის დონეზე იყო მიღებული და იქვე დაამატა, რომ მას **"ბევრ სხვა არანაკლები რანგის ექსპერტებთან ჰქონია საუბარი და "ბი-პის" პროექტი ათასი პროცენტით ეკოლოგიურად უსაფრთხოა"**. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ასეთი გამოქომაგების მიუხედავად, მსოფლიოს ნავთობგიგანტების ოთხეულში შემავალი "ბრიტიშ პეტროლიუმის" ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერის ვაჟმა და ამავე კომპანიის წარმომადგენელმა ედ ჯონსონმა თითქმის ერთი წლის განმავლობაში პირველად თქვა, რომ **"მარშრუტი შერჩეული იყო არა საქართველოს მთავრობის მიერ, არამედ ჩვენი კომპანიის მიერ, რომელიც ქართველი სპეციალისტების მოსაზრებებს ეყრდნობოდა"**. ეს იმდენად მოულოდნელი აღიარება იყო, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრის დასრულებაღა დააჩქარეს. მით უფრო, რომ ედ ჯონსონმა რისკების არსებობა აღიარა და ინანა: **"სამწუხაროდ, მე ვერ მივაღწიე სრულ ურთიერთგაგებას. ალბათ, კომუნიკაციაში შევცდით. ისე კი, თქვენს ქვეყანას რისკების მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ჩვენ: მყიფე დამოუკიდებლობა, არაკონტროლირებადი ტერიტორიები თუ, მაგალითად, "ეი-ი-ესი". თქვენი ცხოვრება სავსეა რისკებით"**. მან ისიც არ დამალა, რომ საქართველოს მონაკვეთზე მუშაობისას უკვე 100 მილიონ დოლარზე მეტია დახარჯული და პროექტის წარუმატებლობა ახლა უკვე გამორიცხულია, მაგრამ პროგრესის მისაღწევად კონკრეტული თემატური შეხვედრები საჭიროა. შესაბამისად, თედო ჯაფარიძემ ასეთი შეხვედრების ორგანიზება საკუთარ მოადგილეს ეკონომიკურ საკითხებში, გოგი მჟავანაძეს დაავალა.

ეს პროცესი მართლაც აქტუალური ხდება დღეს, როდესაც საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას საშიშროება შეუქმნა "რაო ეეს"-სა და "გაზპრომთან" "მიღწეული" შეთანხმებებით, თან ალტერნატიულ ენერგოსატრანზიტო პროექტებში საეჭვო დაჟინებებს ლობირებს. მთავრობა საკუთარ უსუსურობას ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში ავლენს. ნებისმიერი წარმოშობის კაპიტალი მათ, მართლაც, ჩოქმბჯენში აყენებს. ასე რომ არ იყოს, მაშინ ერთხელ მაინც დაისმებოდა კითხვები: **"რატომ გაზარდა კომპანიამ სულ რაღაც 4 თვეში პროექტის ღირებულება ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტით?" "რატომ გახდა 2002 წელი კომპანიის ისტორიაში ყველაზე ზარალიანი?" "რატომ გადაწყვიტა ალიასკიდან და სამხრეთ ამერიკიდან კრახით წამოსულმა "ბი-პიმ" ბოლო რესურსების ინვესტირება რუსეთის და არა კასპიის ნავთობწარმოებაში გადასროლა მაშინ, როდესაც ერაყის ნავთობწარმოებაში მონაწილეობაზე ამერიკელებისაგან უარი მიიღო?" "სწორედ ერაყული ნავთობის ჯეიჰანის პორტში სტაბილურად მიწოდების აღდგენისთანავე, "ბი-პის" ქართველი პარტნიორები რუსული ნავთობის ჯეიჰანისკენ გადაზიდვის პერსპექტიულობაზე რატომ ალაპარაკდნენ?"** იმედია, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში გამართულ კონსულტაციებზე ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი მიღებული იქნება.

## ლეიბორისტთა ლიდერი „ეპისტოლარულ ომს" იწყებს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შესახებ სემეკ-ის დადგენილება იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში მაინც გაატარა. ნათელაშვილი იურიდიულ დახმარებას სთავაზობს პრეზიდენტს. პარტიის ლიდერის აზრით, პრეზიდენტი შევარდნაძე იმდენად დაუძლურდა, რომ პოსტიდან გადადგომის შესახებ დამოუკიდებლად განცხადების დაწერას ვერ ახერხებს. ნათელაშვილი მას ასეთი განცხადების ტექსტს უგზავნის, რომელსაც მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერა აკლია. ამ დოკუმენტს "ლეიბორისტები" ორშაბათს გაგზავნიან კანცელარიაში. ორშაბათსვე გენერალურ პროკურორს გადაუგზავნიან შევარდნაძის გამოსვლების ვიდეოჩანაწერებს, იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ახდენს ქვეყნის მეთაური ზეწოლას საკონსტიტუციო სასამართლოზე. გარდა ამისა, ნათელაშვილი ფიქრობს, საქართველოში რუსეთის ელჩის ჩხიკვიშვილის საშუალებით, გადასცეს ჩუბაისს წერილი ტარიფის შემცირების მოთხოვნით.

ნათელაშვილი იმუქრება, რომ "ლეიბორისტული პარტია" 2 ნოემბრის არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში "უმრავლესობით მოსვლის" შემდეგ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გააუქმებს. როგორც შაბათს გამართულ ბრიფინგზე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ისინი სემეკ-ის წევრებს - დავით მირცხულავას და პაატა ცინცაძეს ორთაჭალის ციხეში მოათავსებენ. საპარლამენტო არჩევნებში მათი პარტიის გამარჯვების შემდეგ კი, ენერგეტიკა სახელმწიფოს ხელში გადავა და ავტომატურად ყველა ინვესტორი ქვეყნიდან გავა. გარდა ამისა, ნათელაშვილი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობების გადახედვის პირობას იძლევა, რადგან **"ეს საერთაშორისო ორგანიზაცია დამანგრეველ როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში"**. ამასთან, ნათელაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ, **"საერთაშორისო დელიკატურობის გამო"**, მათ არ სურთ მიტინგები მოაწყონ სავალუტო ფონდის წინააღმდეგ, რომლის მოთხოვნითაც გაიზარდა ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოში.

"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ფიქრობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის გეგმები, შექმნას საკუთარი პოლიტიკური პარტია, უპერსპექტივოა. ბატონი შალვას თქმით, არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე საკუთარი პარტიის შექმნა და თანამოაზრეების შემოკრება, რომლებიც ჯერ მოსაძებნია, შეუძლებელია. **"24 საათი"**

## აბსანძე „ეროვნულების" ინტერესებს აქციებით დაიცავს

"ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" თავმჯდომარის გურამ აბსანძის დაპირებით, მისი კავშირი 20 აგვისტოს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საპროტესტო აქციებს დაიწყებს. "ეროვნულები" ცესკო-ში ოპოზიციური ძალებისათვის განკუთვნილი ერთი ადგილისა და საარჩევნო კანონში მე-18 მუხლის შეტანას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბსანძე არჩევნებში მონაწილეობის აზრს ვერ ხედავს.

აბსნაძის განცხადებით, "თუ ცესკო-ს დაკომპლექტების არსებული წესი არ შეიცვალა, რომლის 2/3-ს სახელისუფლებო ბლოკთან ერთად "აღორძინება" და "მრეწველები" აკონტროლებენ, 2 ნოემბრის არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვს და ქვეყნის მოსახლეობა, გაყალბებული არჩევნების საშუალებით, შევარდნაძეს ხელისუფლებაში ყოფნის ვადას გაუხანგრძლივებს". აბსანძის თქმით, უკანასკნელი 12 წლის მანძილზე, "დამხობილი ხელისუფლების" წარმომადგენელებს პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალება არ ჰქონდათ, თუ ვინმეს ოპოზიციიდან ცესკო-ში ერთი ადგილი ეკუთვნის, ეს "ეროვნული თანხმობის კავშირია". აბსნაძემ იმედი გამოთქვა, რომ "ეროვნულების" მიერ დაწყებულ საპროტესტო აქციებს ყველა ის პოლიტიკური ძალა შეუერთდება, ვინც თავს ჭეშმარიტ ოპოზიციად მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

## სახელმწიფოს კოლაფსი

შოთა უტიაშვილი

ის, რაც ლიბერიაში მოხდა, ალბათ, ყველაზე ცუდია, რაც შეიძლება სახელმწიფოს დაემართოს. სამ ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებას შორის ომმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, გრძელდება, ასობით ათასი ადამიანის სიკვდილი და სახელმწიფო ინსტიტუტების სრული კოლაფსი გამოიწვია.

"ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, გაერო აპირებს განაცხადოს, რომ ლიბერიელებს თავიანთი ქვეყნის მართვა არ შეუძლიათ და ამ ქვეყანაზე მეურვეობას თავის თავზე აიღებს.

ასეთი რამ დღეს უკიდურესად იშვიათად ხდება, თუმცა დეკოლონიზაციის პერიოდში ჩვეული ამბავი იყო. ბოლო წლებში საერთაშორისო პროტექტორატი, პრაქტიკულად, მხოლოდ ორ ტერიტორიაზე არსებობდა: კოსოვოში და აღმოსავლეთ ტიმორში. თუმცა, ორივე შემთხვევაში, გაერო-ს მთავარ მიზნებს სამანდატო ტერიტორიის საგარეო საფრთხისაგან დაცვა და ომისაგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრა წარმოადგენდა.

ლიბერია კი ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო შიგნიდან იმდენად დალპა, რომ ადგილობრივ პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს მისი მართვა არ შეუძლიათ, რაც არ უნდა დიდი საერთაშორისო დახმარება მიიღონ. მკვლევარები ასეთ ქვეყანას "არშემდგარ სახელმწიფოს" უწოდებენ.

საერთაშორისო პროტექტორატის დამყარების იდეას ლიბერიელთა დიდი ნაწილი აღტაცებით შეხვდა, ისევე, როგორც რამდენიმე დღის წინ აღფრთოვანებით შეეგება საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემოსვლას. "საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის გარეშე ეს ქვეყანა კარგს ვერაფერს ნახავს," – განუცხადა ადგილობრივმა რესპოდენტმა უცხოელ რეპორტიორს.

ახალი გეგმის თანახმად, ერთადერთი, რაც ლიბერიელებს მოეთხოვებათ, ისაა, რომ ერთმანეთში არ იომონ და ოქტომბერში დანიშნული არჩევნები გადადონ. საერთაშორისო თანამეგობრობა, გაერო-ს სახით, ქვეყნის თავდაცვით, საპოლიციო და ადმინისტრაციული ფუნქციების, ქვეყნის ელექტროენერგიითა და წყლით უზრუნველყოფას თავის თავზე აიღებს.

გაერო აცხადებს, რომ მისი მანდატი ამ ქვეყანაზე სამუდამოდ არ გასტანს. საერთაშორისო ადმინისტრაციის ერთ-ერთი ფუნქცია თვითმმართველობის აღდგენისათვის ქვეყნის მომზადება იქნება. მაგრამ, ეს შორეული მომავლის პერსპექტივაა და ჯერ არავინ იცის, შეძლებენ, ან მოინდომებენ თუ არა ლიბერიელები დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრებას.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკურმა ორგანიზაციამ "ვაზის პარტია რუსეთთან ერთად", პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან ურთიერთობა გაწყვიტა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს ორგანიზაციის "ვაზის პარტია - რუსეთთან ერთად" ლიდერმა კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ უთხრა.

მისი თქმით, ბურჯანაძემ "ძალიან საეჭვო ხალხი შემოიკრიბა გარშემო".

შენგელაიას განცხადებით, ბურჯანაძის გუნდში მოხვდნენ ისეთი "ტიპები, როგორიცაა პარლამენტარი დავით სალარიძეა". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში დღესაც ბევრია პარლამენტის ექს-სპიკერის, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები.

რჩეულიშვილის თქმით, ამ ხალხს მინისტრის მოადგილეებისა თუ დეპარტამენტებში სხვადასხვა ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ, რაც ხელისუფლების არაეფექტურ მუშაობას იწვევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „გაერთიანებული დემოკრატების" რაიონული განყოფილების ოფისი, რომელიც თბილისში, შავი ზღვის ქუჩაზე მდებარეობს, 15 აგვისტოს ღამის საათებში დაარბიეს, აცნობეს „მედია-ნიუსს" „გაერთიანებული დემოკრატების" პრესსამსახურიდან. მათივე ინფორმაციით, ჩამოხსნილი და განადგურებულია შენობის ფასადზე განთავსებული ორგანიზაციის სარეკლამო აბრა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან წამოსული დირექტივის თანახმად, ამიერკავკასიაში რუსული სამხედრო შტაბის შემადგენლობა წლის ბოლოსათვის 3-ჯერ შემცირდება. დღეისათვის აქ 120 რუსი ოფიცერი და ამდენივე თანამშრომელია. არ გამორიცხავენ, რომ შემცირების შემდეგ რუსების შტაბი მცხეთის სარეზერვო-სამეთაურო შტაბში გადაიტანონ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ახმეტა.** "აღორძინების კავშირი" წინასაარჩევნოდ კახეთში მუშაობასააქტიურებს. წუხელ ახმეტის რაიონის სოფელ მატანში, სპორტულ სტადიონზე ჯგუფ "საუნდის" კონცერტის ფონზე, "აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ 500-მდე მსმენელს დეპუტატობის კანდიდატი, უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი შენგელი ფიცხელაური წარუდგინა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**გორი.** ქალაქ გორში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა - „ნაბიჯი 21-ე საუკუნეში", „ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ-ახალგაზრდულმა ჯგუფმა" და „ახალგაზრდა დევნილთა კავშირმა" გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ზესაშვილს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან რუსული სამშვიდობო ქვედანაყოფის გაყვანის შესახებ საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით მიმართეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთად ჩატარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, ახალი პარლამენტი ძველი პრეზიდენტის ხელში ისეთივე არაქმედითი იქნება, როგორიც ახლანდელი პარლამენტია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2003 წლის 15 აგვისტოს მიღებული "ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" დადგენილება, რომელიც პირველი სექტემბრიდან ელექტროენერგიის ახალი სამომხმარებლო ტარიფის შემოღებას ითვალისწინებს, ლეიბორისტულმა პარტიამ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს ლეიბორისტულ პარტიაში აცნობეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-5 საპყრობილესა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში საერთაშორისო ფონდმა „თანადგომა - XXI საუკუნე" პატიმრებისათვის საკვები პროდუქტები შეიტანა. ჰუმანიტარულ ტვირთში შედის 11 ცალი ქათამი, ოთხი ყუთი ქათმის კვერცხი, 90 ყუთი შესქელებული რძე, 50 ქილა მაწონი, ორი ყუთი სიგარეტი "მტკვარი" და სხვა პროდუქტები.

პატიმართა კვებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვეში 30 ლარამდე იხარჯება. ამ თანხით პატიმრები საჭირო კალორიების მინიმუმსაც ვერ იღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-5 საპყრობილეში ნარკოტიკის შეტანის მცდელობის ბრალდებით დააკავეს მამუკა შონია. დაკავებულს ჩხრეკისას ალმოაჩნდა 2 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი, რომელიც მოკლევადიან პაემანზე ერთ-ერთი პატიმრისთვის უნდა გადაეცა.

ვისთვის იყო განკუთვნილი ნარკოტიკული ნივთიერება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არ ახმაურებს. თავად შონია დაკავებისას, წინასწარი მონაცემებით, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქუთაისის ფილიალში შემოწმება ჩაატარეს. განყოფილების უფროსის გერმანე ჯაშის განცხადებით, შემოწმების მიზეზი ოპერატიული ინფორმაცია გახდა. მისივე თქმით, სამართალდამცველებმა კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოიღეს, რომელიც ამჟამად სპეციალისტების მიერ სათანადო დამუშავებას და ექსპერტიზას გადის. "არ არის გამორიცხული, ეს დავალება რწმუნებულ შაშიაშვილისგან მოდიოდეს," - აცხადებს კომპანიის ლობისტი ზურაბ ნოლაიდელი. დანაშაულის მოტივის დასადგენად იგი იმერეთის სამხარეო პოლიციის შეფთან, ზაზა ძნელაძესთან და შინაგან საქმეთა მინისტრ კობა ნარჩემაშვილთან შეხვედრას გეგმავს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** „ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის ერთადერთი მიზანი ქართულ საზოგადოებაში „რუსეთის ეეს“-ისადმი მხარდაჭერის მოპოვებაა. ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა, ამასობაში რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა ქართულ ენერგობაზარზე შემოვა და ტარიფს შეამცირებს, რაც განაცხადა კიდეც ანატოლი ჩუბაისმა სასტუმრო „მერიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე. ჩუბაისს ამით საზოგადოებაში „კაი ბიჭის“ იმიჯი დაუმკვიდრდება“, — განაცხადა სტრატეგიული განვითარების გამოკვლევების ცენტრის დირექტორმა გია არეშიძემ.

მისივე თქმით, რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა ტარიფის შემცირების და მოსახლეობის ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგებით საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში წინასაარჩევნო ქულების მოპოვებაში დაეხმარება. „ამით რუსეთი, როგორც ყოველთვის, პირდაპირ ჩაერევა არჩევნებში“, — აცხადებს გია არეშიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელიზბარ ერისთავი სემეკში მრჩევლის თანამდებობაზე დაინიშნა. პრეზიდენტის ბრძანებით, სემეკის ახალ თავმჯდომარედ 12 აგვისტოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა დაინიშნა.**პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების სამინისტრო მთავრობის მომავალ სხდომაზე ოთხშაბათს, სავარაუდოდ, ვერ წარმოადგენს იმ სახელმწიფო მოხელეებისა და პარლამენტართა სიას, ვინც არალეგალური საწვავით მოვაჭრე ბენზინგასამართი სადგურების რეალური მფლობელები არიან. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სამართალდამცავ სტრუქტურებს კატეგორიულად მოთხოვა კონტრაბანდული საწვავის რეალიზაციაში მხილებული ბენზინგასამართი სადგურების მეპატრონეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ამ საქმეების სასამართლომდე მიყვანა. პრეზიდენტმა ბოლო ვადად მთავრობის მომავალი სხდომა დაასახელა, სადაც შევარდნაძის მოთხოვნით, უშიშროების მინისტრმა ბენზინგასამართი სადგურების რეალური მფლობელები უნდა დაასახელოს და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „პარლამენტის მიერ 2003 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თვითკრიტიკული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლება საკუთარი თავის მიმართ“, — განაცხადა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემ. მისივე თქმით, მთავრობის განცხადება - თუ პარლამენტი სეკვესტრს არ დაამტკიცებს, მაშინ ქვეყანას დეფოლტი ემუქრება - უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე ზემოქმედებაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** დღეს, დილის 10 საათიდან, რუსთავის ქვესადგურის თანამშრომლები აპირებენ, ელმომარაგების ქსელიდან ყველა მომხმარებელი გამორთონ, რის შესახებაც „რელასის“ ხელმძღვანელობას აცნობებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსთავის მოსახლეობის 90 პროცენტი და ორგანიზაციები ელექტროენერგიას ვერ მიიღებენ. ქვესადგურის თანამშრომლების განცხადებით, აქცია მანამდე გაგრძელდება, ვიდრე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მათ კუთვნილ 13 თვის დავალიანებას არ გადაიხდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ურეკი.** საქართველოს ენერგეტიკულ სივრცეში "РАО ЕЭС"-ის შესვლას ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი "ზომიერად პოზიტიურ მოვლენად" აფასებს და იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი ამას პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოიყენებს. ბიზნესმენის შეფასებით, ძალიან ცუდია, როცა ქვეყანას კომპანიაში ნეგატიური კონტროლის პაკეტი არ გააჩნია. მისივე აზრით, სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის აქციათა 25 პროცენტზე მეტის ფლობის უფლება უნდა ჰქონდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ონი.** რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს ელექტროენერგია მკაცრი გრაფიკით მიეწოდება. როგორც რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით დარახველიძემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირის წინანდელი წყალდიდობის გამო რეგიონი უმძიმეს პირობებში, ფაქტობრივად, ფორსმაჟორულ ვითარებაში აღმოჩნდა, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ელექტროენერგიის შედარებით თავისუფალი გრაფიკით მიწოდებაზე უარს აცხადებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბიუჯეტო კრიზისის გამო, საქართველოში არსებული ვადაგასული შხამქიმიკატების უტილიზაცია-გაუვნებელყოფისა და ევრაზიის ავტოსატრანსპორტო დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობის შესწავლისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების პროგრამები წლეულს საერთოდ არ დაფინანსებულა. **მედია-ნიუსი**

# ტირანიის პრინციპები


ჰიტლერი


სტალინი


პოლ-პოტი


ჰუსეინი

პირველი გვერდიდან

და თანამდებობებს შორის ძალაუფლებას იმგვარად ანაწილებს, რომ გამორიცხავს ძალაუფლების კონცენტრირებას იმ პირთა ხელში, რომლებმაც იგი, შესაძლოა, ბოროტად გამოიყენონ.

ტირანია მნიშვნელოვანი ფენომენია, რომელიც გარკვეული პრინციპებით ოპერირებს. ამ პრინციპთა ცოდნის საშუალებით შესაძლებელი ხდება ტირანიის საწყის ეტაპებზე ამოცნობა და - თუ ხალხი ყურადღებიანი, მომზადებული და თავისუფლებისთვის თავდადებულია - მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, სანამ ტირანია ჯერ ფესვგადგმული და მყარი არ გამხდარა.

## ტირანიის ფსიქოლოგია

ტოტალიტარული მენტალობის პიროვნებას დანარჩენ ადამიანთაგან ის განასხვავებს, თუ როგორ რეაგირებს იგი დაუცველობისა და გაურკვევლობის მუხტის მატარებელ სიტუაციაზე. ასეთი მენტალობის ადამიანიც, როგორც ყველა დანარჩენი, ცდილობს საკუთარი ძლიერების ხარისხის გაზრდას, ანუ მოვლენებზე კონტროლის მოპოვებას. მაგრამ ადამიანები, ვინც ტოტალიტარული მენტალობისანი არიან, უფრო მეტი კონტროლის მოპოვებას ცდილობენ, ვიდრე ეს შესაძლებელია. ეს კი მათი მხრიდან იმ ტიპის ქმედებებში გამოიხატება, რაც ამ ადამიანებს ხშირად ლიდერებად და ძალაუფლებაში მყოფებად აქცევს. ასეა განსაკუთრებით მაშინ, თუ საზოგადოების დანარჩენი წევრები მოვლენებზე კონტროლის მოპოვების საკუთარ შანსებს უგულებელყოფენ ან აკნინებენ, და მიდრეკილნი არიან, რომ ინიციატივა დაუთმონ სხვებს – მათ, ვინც საკუთარ ქმედებებსა და დაპირებებში უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებიან.

ამ პროცესს დიდად უწყობს ხელს გავრცელებული სინდრომი, რომელიც "მამლის სინდრომის" სახელითაა ცნობილი, და რომელიც ძველი ანდაზიდან მომდინარეობს "...ფასობს მამალი, რომელიც მზის ამოსვლამდე ყივის". ეს სინდრომი მომდინარეობს იქიდან, რომ ხშირად ადამიანთა გონებას უფრო იმედი და შიში მართავს, ვიდრე გამჭრიახობა. ეს კი ადამიანთა თვალში ლიდერთა ხელთ არსებულ ძალაუფლებაზე წარმოდგენას არაადეკვატურად აზვიადებს, და მათვე მიაწერს მოვლენებზე (კარგი იქნება მათი შედეგი თუ ცუდი) გავლენის ისეთ ხარისხს, როგორიც ამ ლიდერებს სინამდვილეში არ გააჩნიათ. ეს გამომდინარეობს ადამიანების უმრავლესობის უუნარობიდან - რთული დინამიკური სისტემის მუშაობისა და მისი გრძელვადიანი საქციელის ლოგიკა გაიგოს. ეს კი იწვევს იმას, რომ მოვლენებს ადამიანები არა გრძელვადიანი და რეალური, არამედ მიახლოებული და ცვალებადი მიზეზებით ხსნიან.

ამდენად, ტირანიის დასაწყისი სათავეს იღებს სიტუაციიდან, რომელშიც ადამიანთა ჯგუფს (ან საზოგადოებას) დაუცველობისა და გაურკვევლობის გრძნობა გააჩნია. ამ სიტუაციაში ზოგიერთი ინდივიდი სხვათა "მამის" როლის დაჩემებას იწყებს; სხვები კი ნებაყოფლობით ეგუებიან "შვილის" როლს, თუ "მამა" შეძლებს მათ დარწმუნებას, რომ იგი უფრო სასურველ პირობებს შეუქმნის. ამგვარი დამოკიდებულების ციკლი პათოლოგიური ბუნებისაა და, მეტწილად, უვარგის გადაწყვეტილებათა მიღებით გამოირჩევა, რაც არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს. მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ ჩვეულების ეს ციკლი პათოლოგიურია, მისი მონაწილენი საკუთარ მცდარ ქმედებებს იმეორებენ. ამ გზით წარმოიშვება მოჯადოებული წრე, რომელიც, გაუწყვეტლობის შემთხვევაში, მთელი ჯგუფის ტოტალური დანგრევითა და ყველაზე გაუთვალისწინებელი შედეგებით მთავრდება.

## ტირანიის ლოგიკა

ჯორჯ ორუელის კლასიკად ქცეულ ნაშრომში, "1984"-ში, პროტაგონისტი უინსტონ სმიტი საკვანძო განცხადებას აკეთებს: "თავისუფლება არის თავისუფლება იმისა, რომ ვთქვათ - ორჯერ ორი ოთხია, და ამის შემდეგ ყველაფერი საკუთარ ადგილზე დგება".

ერთ-ერთ ცნობილ საჩვენებელ სასამართლო პროცესზე აბსურდული განაჩენის გამომტანმა მოსამართლემ განაცხადა, რომ " აუცილებელი არ არის, კანონი ლოგიკური იყოს".

ეს მცდარია. კანონი უნდა იყოს ლოგიკური. სხვაგვარად იგი კანონი აღარ არის. მაშინ ის ძალის გამოყენებით განხორციელებულ თვითნებურ მართვას წარმოადგენს.

სიტყვა "ლოგიკურში" ე.წ. "ორმხრივ-ფასეულობითი" ლოგიკა იგულისხმება, რომელსაც ხშირად არისტოტელურ ან ევკლიდურ ლოგიკასაც უწოდებენ. ესაა მტკიცებულებათა იმგვარი სისტემა, რომელშიც განცხადება და მისი საპირისპირო რამ, არ შეიძლება, ერთდროულად შეესაბამებოდნენ სიმართლეს. ამ ორიდან ერთი აუცილებლად მცდარი უნდა იყოს. ორი შესაძლო ფასეულობა აქ არის "სიმართლე" და "სიმცდარე", და ნებისმიერ განცხადებას, რომელიც უაზრობა არ არის, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ესადაგება.

სამართლებრივი სისტემა ***პრესკრიფციული (მითითებითი)*** და არა ***დესკრიფციული (დახასიათებითი)*** განცხადებების წყებაა, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს, და ამგვარად, მისი ლოგიკაც ორმხრივ-ფასეულობითი უნდა იყოს. ის, რომ ***ერთმანეთის მსგავსი სასამართლო საქმეები ერთგვარად უნდა გადაწყდეს***, კანონის ფუნდამენტური პრინციპია. იგი ნიშნავს, რომ თუ გადაწყვეტილება მიღებულია ერთი მოსაზრებით, ეს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრების მიღებას ავტომატურად გამორიცხავს.

ეს კი ლოგიკის ფუნდამენტური პრინციპია: თუ მტკიცებულებათა სისტემა პრინციპსა და მის საპირისპირო პრინციპს ერთდროულად მისაღებად მიიჩნევს, ანუ მისაღებად მიიჩნევს ***წინააღმდეგობას***, მაშინ იგი მისაღებად მიიჩნევს ***უკლებლივ ყველა წინააღმდეგობას***, და მათში არჩევანისთვის რაიმენაირ კრიტერიუმს არ გვთავაზობს. თუკი რომელიმე მათგანზე არჩევანი გაკეთდა, იგი არა პრინციპზე დაყრდნობით გაკეთებული, არამედ ***თვითნებური*** არჩევანი იქნება. ამგვარ ქმედებას კი ესადაგება ტერმინი ***პიროვნების უზენაესობა***, საპირისპიროდ ***კანონის უზენაესობისა***.

ამდენად, ის, რასაც უინსტონ სმიტის ნათქვამი ნიშნავს, ნამდვილი პრინციპი მცდარისაგან განვასხვავოთ. ის კი, რასაც მისი მტერი ო'ბრაიანი აკეთებდა, მდგომარეობდა სმიტის იძულებაში, რათა ამ უკანასკნელს დაეჯერებინა, რომ "2+2=5", რაც არ შეიძლება იყოს სიმართლე, თუ გამოყენებული ლოგიკა "არისტოტელურია". ნაწარმოებში ო'ბრაიანი წარმოადგენს თვითნებურ ძალაუფლებას, ანუ "ლოგიკას", რომელსაც ჩვენ "ორუელისებური" შეიძლება ვუწოდოთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ ორუელი, ვისი ნამდვილი სახელიც ერიკ ბლერი იყო, ძლიერ ეწინააღმდეგებოდა ამგვარ ლოგიკას.

## ტირანიის მეთოდოლოგია

კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობისა და ტირანიის დამყარების მეთოდები კარგადაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, საოცარია, რაოდენ ხშირად იწყებენ ამ მეთოდების გამოყენებას და - საკუთარი საუკეთესო სურვილების მიუხედავად - ტირანიის დამყარებას ისინიც კი, ვისაც ტირანიის დაფუძნება წინასწარ განზრახული არ ჰქონია. არ არის აუცილებელი, რომ ტირანია წინასწარ დაგეგმილი იყოს. ტირანმა, შეიძლება, საკუთარი თავიც კი გააბრიყვოს და თავის მოკატუნება საკუთარ თავთან ისევე არ ითაკილოს, როგორც ის ამას ყველა დანარჩენი ადამიანის წინაშე არ თაკილობს. ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები სახელმწიფოში ტირანიის არსებობის, ან მისი დამყარების მცდელობის ამოცნობაში დაგვეხმარება:

### საჯარო აზრისა და ინფორმაციის კონტროლი

ეს ინფორმაციის შეგნებულად დაგვიანებით მოწოდებით იწყება და გრძელდება ყალბი ან დამაბნეველი ინფორმაციის გავრცელებით. შესაძლოა, მთავრობამ პროპაგანდის სამინისტრო დააარსოს, რომელიც სხვადასხვა ფორმითა და სახელწოდებით იქნება შენიღბული. ასეთ შემნიღბავ ინსტრუმენტად ხშირად იყენებენ სახელწოდებას - "საჯარო საინფორმაციო საშუალებები".

### ამომრჩეველთა ხმების გაყალბება, რათა ჭეშმარიტი რეფორმების ჩამტარებელთა არჩევა გამოირიცხოს

როდესაც ახალი ამბების საagენტოები არჩევნების შედეგებს იქამდე იგებენ, სანამ ყველა ხმა არ არის დათვლილი, ეს არის ნიშანი იმისა, რომ ამომრჩეველთა ხმების გაყალბების პროცესი მიმდინარეობს. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი პარტიიდან იქნება მთავრობის წევრი არჩეული, თუ ნამდვილ რეფორმატორს არ ექნება იმის შანსი, რომ კენჭისყრაში გაიმარჯვოს.

### კანონით მიუნიჭებელ ძალაუფლებათა უზურპირება

ეს, ძირითადად, ხდება რაიმე პრობლემის გადასაწყვეტად ხალხის დიდი ნაწილის მხარდაჭერის მეშვეობით, ან საკუთრების გადანაწილების მიზნით. ეს დომინანტური ჯგუფის მხარდამჭერთა სასარგებლოდ კეთდება, მაგრამ ძალიან მალე უმცირესობათა დევნით და პიროვნების უფლებების დარღვევით გვირგვინდება.

### კანონის დამცველთა გასამხედროება

პოლიციის რიგებში "შინაგანი ჯარის" ინსტიტუტის შემოღება. პარალელურად, "დანაშაულთან ბრძოლის" სახელით, ხელისუფლება განსხვავებულ აზრთან, სამოქალაქო უფლებებთან და პოლიტიკურ ოპონენტებთან ომს იწყებს.

### რეფორმატულად განწყობილ მოქალაქეთა ჯგუფებში აგენტურის შეგზავნა და მათი დაშლის მცდელობა

ქვეყნის შიდა თვალთვალი და მოსმენები ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისია. მისი ლოგიკური გაგრძელება ამ ჯგუფთა ლიდერების საჩვენებელი გასამართლებებია.

### დამოუკიდებელი და ჟურნალისტური გამოძიების ჩახშობა

როდესაც მოქალაქენი ძალაუფლებაში მყოფთა დანაშაულებებს ააშკარავებენ, მათ ემუქრებიან. ეს იმის ნიშანია, რომ ეს სისტემა არა მარტო დაავადებულია კორუფციით, არამედ კორუფციამ დასაშვებ ზღვარს გადააბიჯა და აქტიურ ტირანიად გარდაიქმნა.

### კანონის გამოყენება პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონკურენციის ჩასახშობად

ეს პროცესი იწყება მაშინ, როდესაც დომინანტური ჯგუფი ოპონენტთა მომხრეების დევნის საშუალებითა და საკუთარ მხარდამჭერთა მოსყიდვის ხარჯზე იმარჯვებს, რასაც საჯარო მოხელეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩართვა და დამოუკიდებელ კონკურენტთა შევიწროებისათვის კანონის გამოყენება მოსდევს.

### ძალაუფლების დანაწილების პრინციპის მიერ დაკანონებული შინაგანი შემოწმებებისა და დამცავი მექანიზმების დემონტაჟი

ამის ერთ-ერთ ყველაზე თვალნათელ მაგალითს წარმოადგენს იმ მოსამართლეების თანამდებობებზე დანიშვნა, ვინც ხელისუფლების სხვა განშტოებათა არაკონსტიტუციურ ქმედებებს შემგუებლობით ექცევა და ამით მათ თვითნებობას ხელს უწყობს.

### კანონზე მაღლა მყოფ თანამდებობის პირთა კლასის შექმნა

ეს რეალობად მაშინ იქცევა ხოლმე, როდესაც პიროვნების წინააღმდეგ, მისი დანაშაულის არსებობის თვალნათლივობის მიუხედავად, არანაირი კანონიერი ღონისძიება არ ხორციელდება.

### ხალხის მეტისმეტი დამოკიდებულება მთავრობაზე

ხალხზე ბატონობის მისაღწევად კლასიკური მეთოდი ხალხისთვის თითქმის ყველაფრის ჩამორთმევით იწყება, რასაც ხელისუფლების მოთხოვნებისადმი გამოხატული საერთო მორჩილება მოსდევს. ეს განპირობებულია ჩამორთმეულ უფლებათა თუ პრივილეგიათაგან თუნდაც ზოგიერთის უკან დაბრუნების იმედით.

### საზოგადოების მიერ საკუთარი სამოქალაქო ვალდებულებების უცოდინარობა ან მათი შესრულების უგულებელყოფა

როდესაც ხალხი თავს არიდებს ისეთ მოქმედებას, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა ან სამხედრო სამსახური, ტირანია გარდაუვალია.

### ტირანიისაგან თავდაცვა

ამისათვის უმთავრესი ტირანული ტენდენციების ნაადრევად შემჩნევა და მათი ფესვშივე ალკვეთაა. ხალხი არასდროს უნდა შეეგუოს კონსტიტუციის არანაირ, თუნდაც მცირე დარღვევას. ტირანიის გამოსარიცხად ადრე გადაუდგმელი ნაბიჯები იწვევენ გარდაუვალ აუცილებლობას, რომ მოგვიანებით ტირანიისაგან თავდასაღწევად უფრო რთული და არასასურველი ზომები იქნეს მიღებული, რასაც, შესაძლოა, ადამიანური მსხვერპლი და ისეთი საზოგადოებრივი რღვევა მოჰყვეს, რომლისგან განკურნებასაც საუკუნეები დასჭირდება.

*ინგლისურიდან თარგმნა*
***ნიკოლოზ რურუამ***

## პრესომბუდსმენი

# მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 202424
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

აგვისტო მარტის თვესავით ჭირვეული გამოდგა. მაღალ ტემპერატურაზე საგნები ფართოვდება, ჩვენ კი სულ უფრო დაგვეტყო შეკუმშვა. ერთ-ერთ წინა სტატიაში, მგონი, წვრილი შრიფტის გამო ვჩიოდი, ახლა კი უფრო მნიშვნელოვან დაწვრილებას ვატყობ: გაზეთის მიერ კონტროლირებადი სფერო ვიწროვდება...

ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა: სრულად შუქდება პოლიტიკა, ეკონომიკა, უცხოეთი, არასამთავრობოების სამართლიანი რისხვისთვისაც რჩება ადგილი და ღვაწლმოსილ მოქალაქეთა გახშირებული კოლექტიური წერილებისთვის. მაგრამ რაღაც მაინც დაიკარგა, იმედია, მხოლოდ დროებით. იმედია კი არა, სექტემბრიდან ნამდვილად აღდგება, მაგრამ დროებითი ცვლილებაც უნდა იქნეს დაჭერილი და რეფლექსირებული, თორემ ჩვენს კურთხეულ მიწაზე ხშირად დროებითიც სამუდამოდ იკიდებს ფეხს.

საქმე კი ის გახლავთ, რომ ყველა ამ ინფორმაციის მიღება, რომლის წაკითხვა აგვისტოს გაზეთშია შესაძლებელი, ჟურნალისტს ეგრეთ წოდებული ოფიციალური არხებით და ინტერნეტით შეუძლია. უშუალო და მახვილი თვალი დააკლდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, თორემ აბა, ახლა უნდა ვიხსენებდეთ, რა ღირდა ეს, მართლაც, ყბადაღებული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა"? ახლა უნდა ვადარებდეთ ამაზე დახარჯული დოლარების რაოდენობას, მაგალითად, ერთი კარგი ტანკის ფასს? ახლა უნდა ვფიქრობდეთ, ნეტა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერიო? — მაგრამ რას ვამბობ! —არავინ იხსენებს, არავინ ადარებს, არავინ ფიქრობს. საჭირო კია...

არა, ღმერთმა დაგვიფაროს, კარგი ანალიზური (აი, მავანნი რომ "ანალიტიკურს" უწოდებენ) სტატიები არც ახლა გვაკლია და **რევაზ საყევარიშვილმაც** გაგვახარა 14 აგვისტოს *დიდი ოჯახის განსხვავებული სადღეგრძელოთი*. მშვენივრად გაიხსნა მირცხულავა-ერისთავ-ნიკოლაიშვილის ენერგეტიკული სამკუთხედი; მშვენივრად განაგრძო სვლა ჩვენი პრესის ფურცლებზე ერთხელ, თუ არ ვცდები, **ივლიანე ხაინდრავას** თუ **დავით ბერძენიშვილის** მიერ ნასროლმა და მრავალთა მიერ წარმატებით ატაცებულმა ტერმინმა "კოლექტიური შევარდნაძე"; მშვენივრად გამოჩნდა ჩვენი პოლიტიკური დეკორაციების დახატულ ფონზე **პაატა შევარდნაძის** აჩრდილი.

და მაინც, რევაზ საყევარიშვილი არაფერ შუაშია, პირი ქვისკენ მიქნია და უკმარისობის გრძნობა მაინც გეუფლება. საკმაოდ რთული ასახსნელია... შორიდან დავიწყებ. ძველი რომის ამბებიდან. აი, როცა კონსტანტინე დიდის გაქრისტიანების ამბებს ვეცნობოდი, შევამჩნიე, რომ თითქმის ყველა მკვლევარი ამ ფაქტის პოლიტიკურ მოტივაციას იზიარებდა. მაგრამ დეტალების დასადგენად ყველანი კარგა ხნის განმავლობაში მთელი იმპერიის სოციალურ სტრუქტურას განიხილავდნენ და ბჭობდნენ, რამდენი ქრისტიანი ცხოვრობდა მაშინ გიბრალტარიდან კაპადოკიამდე და კართაგენიდან ბრიტანეთამდე, რაოდენ დიდი იყო მათი მნიშვნელობა იმპერიისათვის. თითქოსდა კონსტანტინეს რაღაც "გორბის" მაგვარი ემსახურებოდა და ამ ფაქტორთა გათვალისწინების საშუალებას აძლევდა. არავის არ მოსვლია აზრად, რომ თვით იმპერატორს ეს ამბები სულაც არ ადარდებდა: ქრისტიანები მას უშუალო მეტოქეებთან, მაქსენციუსთან და ლიკინიუსთან გასწორების საშუალებას აძლევდნენ. დანარჩენი კი თავისთავად მოხდა. ჩვენი ჟურნალისტიკა კი ამ მკვლევარებთან შედარებით საპირისპირო შეცდომას უშვებს (ნუ შეცბუნდით, დროებით-მეთქი): მისთვის მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება "პოლიტიკური ძალების" მოძრაობაა. საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს, ან თითქოსდა არ არსებობს.

ამასობაში კი... აი, ახლახან **ნათან ბააზოვი** შემხვდა ქუჩაში. ორი წელია (ორი წელი!) ქართული პოეზიის ანთოლოგიას ამზადებს. ამზადებდა ეს კაცი წყნარად თავის ანთოლოგიას, მაგრამ ბოლო თვენახევრის (თვენახევრის!) მანძილზე ქართველმა პოეტებმა კარი აუტალახეს: მთარგმნე და მთარგმნეო! ის კი არა, ზვიადისტების რაღაც ჯგუფმაც არ მოასვენა: ჩვენი სათაყვანებელი პრეზიდენტის ლექსებიც უნდა აჟღერდეს პუშკინის ენაზეო! შევარდნაძე კი რას გვაბოლებს თავის ორშაბათის რადიოინტერვიუებში? — "**გავრცელებული ხმები საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ არის კარგად გამიზნული დემაგოგია ან უმეცრების გამოვლენა, რაც კიდევ უფრო უარესია**". პრეზიდენტის ეს სიტყვები **თამარ ხორბალაძემ** გვაუწყა (12.08, *დასავლეთისკენ – რუსეთთან ერთად*). დემაგოგია უძახე და ზვიადისტებიც კი მიიწევენ ჭაჭა-პატიაშვილისკენ, პოეტებიც (ღმერთო, შეგცოდე) იმზადებენ თითო-ოროლა ფურცელს, საჭირო ხალხს რომ საჭირო მომენტში თვალწინ აუფრიალონ ხალხთა შორის არდავიწყებული მეგობრობის ნიშნად.

მედია (და მასთან ერთად მეც) კი გულუბრყვილოდ გაჰყვირის პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე, ეკონომიკის გარუსებაზე... გამოგვრჩა, მეგობრებო, გამოგვრჩა, რომ საზოგადოების ულრმეს ფენებში უკვე ჩაირთო ცვალებად ვითარებასთან ბუნებრივი ადაპტაციის მექანიზმები! კოლაბორაციონიზმის უძლეველი უნარი, რომლის წყალობითაც დღემდე პირში სული გვიდგას.

ყურადღებით უნდა ვიყოთ და ფხიზლად. არასოდეს არ უნდა შევიზღუდოთ თვალსაწიერი მხოლოდ იმ მოვლენებითა და ადამიანებით, რომლებიც თვითონ ეჩრებიან ობიექტივის ქვეშ, თავისი ნებით განერთხმებიან საგაზეთო ქაღალდზე. მდუმარენი უფრო დიდ ყურადღებას საჭიროებენ, რათა უცებ არ გაგვიკვირდეს, საიდან აღმოჩნდაო პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის, მაგალითად, უშიშროების საბჭოს მდივანი, ან თუნდაც რუსეთში ყოფილი ელჩი. და ნუ გგონიათ, რომ ახლა ჩემზე აგვისტოს სიცხე მოქმედებს...

იქით კიდევ **აკაკი ჩხაიძის** უცნაურ ხელშეუხებლობაზე აყვირდნენ (სამართლიანადაც!) არასამთავრობოებიც და ჟურნალისტებიც. განცხადება დაიბეჭდა 14 აგვისტოს (*ხელისუფლებამ სიტყვის თავისუფლებას "სამართლებრივად" შეუტია*). მაგრამ ჩხაიძის "მილიონიანი" ღირსების შესარყევად ხომ ქართულ მატარებელში ერთი მგზავრობაც კმარა. ერთი ჩვეულებრივი უტყუარი რეპორტაჟი. მაგრამ ვცდები, "მილიონიან" ღირსებას რა შეარყევს! ან **ბალუაშვილისა** და **თარხან-მოურავის** "რაზბორკასაც" ხომ უნდა ახლდეს თან ცოცხალი სურათი იმისა, რა ხდება რომელიმე "ბენზაკალონკაზე", ვინ რჩება ულუკმაპუროდ და ვინ მხოლოდ გაბეზრებული ხელით იფერთხავს ძვირფას კოსტუმს და იღიმება.

მართალია, ამ რვაგვერდიან ზაფხულშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, გასულ კვირასაც გვქონდა ამის მსგავსი რეპორტაჟები (13.08 – **ეთერ მამულაშვილი**, *შემდეგი "გაჩერება" – "სამგორი"*), რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ არ გვძინავს და სექტემბრიდან, როცა კვლავ გვპირდებიან თექვსმეტგვერდიან ნომერს, დასვენებული თვალებით დავაკვირდებით ცხოვრებას. ესაა, ოღონდ, დასვენება არ გაგვიჭიანურდეს. ოფიციალურმა არხებმა და ინტერნეტმა ჩათრევა იცის. თანაც (ღმერთო, შეგცოდე) უფრო იაფი ჯდება...

საზოგადოების მხრიდან კი ჩვენს გაზეთს ყველაზე ხშირად ინტელიგენცია არ ასვენებს. აი, ხელოვნებათმცოდნეებს **რიჩარდ მაილსისადმი** ღია წერილიც დაუწერიათ (16.08): დიმიტრი თუმანიშვილი და კიდევ 15 პირი აწერს ხელს. აშშ ელჩისადმი ულრმეს პატივისცემას გამოხატავენ. მახსოვს, ცხონებული **ანდრეი ტარკოვსკი** იკვეხნიდა, რომ ბრიტანეთის ენციკლოპედიაში ცალკე ინტელიგენციაა განმარტებული და ცალკე – რუსული ინტელიგენცია. ამ უკანასკნელი სტატიის შინაარსზე არაფერს ამბობდა, თორემ კვეხნა არ გამოუვიდოდა იმ სულკურთხეულს. მეც წარმოვიდგინე ერთი ასეთი "განმარტება":

"**ქართველი ინტელიგენცია** — საქართველოში აშშ საელჩოს პერსონალისადმი აფექტურად განწყობილი სოციალური ჯგუფი. იყოფა ორ რაოდენობრივი თვალსაზრისით არათანაბარ ნაწილად: მოძულეებად და მოყვარულებად. ორივე ნაწილს შესაძლო, თუნდაც ყველაზე შორეული და არაცხადი მატერიალური პერსპექტივის ხელიდან არგაშვების მოტივი ამოძრავებს, მაგრამ ერთმანეთისგან კონტროლის ლოკუსით განსხვავდებიან: მოძულეებს გარეთ აქვთ, მოყვარულებს კი შიგნით."

ჩოგბურთი

# ლინა კრასნორუცკაია - ტორონტოს მთავარი ვარსკვლავი




REUTERS

ფინალისტები: ლინა კრასნორუცკაია და ჟიუსტინ ენინ-არდენი

**ტორონტო. ქალები.**
**ნახევარფინალი:**

ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) - პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 4:6, 7:5
ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 2) - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 9) 6:3, 6:7 (5:7), 6:2

**ცინცინატი. ვაჟები.**
**ნახევარფინალი:**

ენდი როდიკი (აშშ, 7) - მაქსიმ მირნი (ბელორუსი) 7:6 (7:5), 6:4
მარდი ფიში (აშშ) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 8) 7:6 (7:4), 7:6 (8:6)

ახალგაზრდა რუსი ვარსკვლავი ლინა კრასნორუცკაია ისევე მომხიბვლელად თამაშობს, როგორც გამოიყურება - ასე აფასებენ კანადაში რუსი ჩოგბურთელის თამაშს. ამრიგად, ლინა კრასნორუცკაია ტურნირის მთავარ ვარსკვლავად გადაიქცა. ის უკვე ფინალში გავიდა და ახლა მნიშვნელობა არა აქვს, როგორ დამთავრდება ფინალური შეხვედრა. კრასნორუცკაიამ აიძულა, ყველა მის პერსონაზე ელაპარაკა.

ტურნირის მესამე წრეში მან დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი კიმ კლიისტერსი. ამის შემდეგ მისი მსხვერპლი გახდნენ კატარინა სრებოტნიკი და პაოლა სუარესი. კრასნორუცკაია საჩოგბურთო ავანსცენაზე გამოჩნდა 2001 წელს, როცა 17 წლის ასაკში "როლან გაროსის" მეოთხედფინალში გავიდა, შემდეგ სცენიდან გაქრა და მთელი შარშანდელი სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა. ახლა ლინა კვლავ მოვლენების ეპიცენტრშია.

არგენტინელი პაოლა სუარესის წინააღმდეგ მეოთხედფინალური მატჩი მეტისმეტად მძიმე გამოდგა. პირველ სეტში ინიციატივას კრასნორუცკაია ფლობდა. ის უკეთ გამოიყურებოდა, რაც სეტის საბოლოო ანგარიშზეც აისახა. თუმცა, მეორე სეტში აშკარად ჩანდა, რომ რუსი ჩოგბურთელი წინა მატჩების შემდეგ უკიდურესად გადაიღალა და არგენტინელმა ხელთ იგდო ინიციატივა.

მესამე პარტია კრასნორუცკაიასთვის უიღბლოდ დაიწყო. მან საკუთარი მოწოდება წააგო, მაგრამ შემდგომში არა მარტო გაათანაბრა მდგომარეობა, არამედ კიდევ ერთი ბრეიკი განახორციელა. შედეგად ფინალში რუსი ჩოგბურთელი ითამაშებს.

ტორონტოს ტურნირი ორიგინალური გამოდგა იმითაც, რომ შეიძლებოდა, წმინდა რუსული ფინალი გათამაშებულიყო. ეს კი თავმოყვარეობას მეტისმეტად შეულახავდა ჟიუსტინ ენინ-არდენს, რომელიც თანამემამულე კიმ კლიისტერსის შემდეგ ტურნირზე მეორე ნომრად იყო განთესილი. ენინმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ რუსულ ოცნებას წინ აღდგომოდა. ნახევარფინალში მან ელენა დემენტიევა დაამარცხა და შეუძლია, კიმ კლიისტერსის დამარცხების გამო ლინა კრასნორუცკაიაზე ფინალში ჯავრი იყაროს.

"მე ფავორიტად გამოვიყურები ქაღალდზე, მაგრამ კორტზე ლინას არასოდეს შევხვედრივარ. ასე რომ, მატჩი უაღრესად რთული იქნება. და მაინც, მე აქ მოსაგებად ჩამოვედი", - განაცხადა ჟიუსტინ ენინ-არდენმა.

ცინცინატის ტურნირზე ბელორუს მაქსიმ მირნის ამერიკელი ენდი როდიკისთვის რომ მოეგო, კრასნორუცკაიას მსგავსად, ალბათ, შეჯიბრების მთავარი სენსაცია გახდებოდა. მირნიმ მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მისი ძალები ბევრად უფრო მცირე აღმოჩნდა, ვიდრე ახალგაზრდა რუსი ლამაზმანის - მირნიმ ენდი როდიკს დაუთმო ფინალის საგზური.

პირველ სეტში მირნიმ ტაიბრეიკამდე მიაღწია და 5:1-საც კი იგებდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ექვსი ქულა წააგო და პარტიაც ამერიკელს დაუთმო 6:7 (5:7). "რა თქმა უნდა, როცა ტაიბრეიკზე 5:1-ს იგებ, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეთამაშები, ფიქრობ, რომ გამარჯვება ჯიბეში გაქვს. მე შეცდომა დავუშვი. შემდეგ კი მობილიზება ველარ მოვახერხე და ამიტომაც წავაგე", - მატჩის შემდეგ თავი იმართლა მაქსიმ მირნიმ.

მეორე სეტში ბელორუსს, უბრალოდ, რესურსები არ ეყო იმისთვის, რომ მოძალებული ამერიკელის შემართება გაექარწყლებინა. როდიკმა 6:4 მოიგო. "ის უმაღლეს დონეზე თამაშობდა. პირველ სეტში საერთოდ არ ვიცოდი, მისთვის რა მომეხერხებინა. მას განსაკუთრებით კარგად მოწოდება გამოსდიოდა", - განაცხადა როდიკმა.

ფინალში როდიკის მეტოქე იქნება მისი თანამემამულე მარდი ფიში, რომელმაც სენსაციურად დაამარცხა გერმანელი რაინერ შუტლერი. ფიშისთვის ეს ტურნირი საუკეთესო ხდება მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 18 აგვისტო

**HTB + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" – "ჩელსი"
15:00 გერმანიის ჩემპიონატი
16:45 "საფეხბურთო სამზარეულო"
17:15 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ვორსკლა"
19:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური
20:05 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლუმინენსე" – "ფლამენგო"
22:45 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:45 გერამანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
00:45 უკრაინის ჩემპიონატი

**HTB + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:00, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 "სპორტული გლობუსი"
12:15 სქაიდაივინგ. მსოფლიო თასი
14:40 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი
16:10 როდეო. "Bull Riders"
17:15 საჭადრაკო მიმოხილვა
17:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. ფინალი
20:15 საბილიარდო შოუ. "World Snooker Trickshot Masters"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "დიდი რინგი"
00:30 ტყვიით სროლა. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში
01:00 ახალი ამბები
01:15 ბოულინგი. PBA Tour. სეზონის შემაჯამებელი ტურნირი. აშშ

**EUROSPORT**
11:30 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან-პრი
12:30 მულტისპორტი
13:00 ჩოგბურთი. US Open ლეგენდები
14:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
15:15 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
15:45 მძლეოსნობა. IAAF სუპერ გრან-პრი
17:15 მძლეოსნობა. სპრინტერები
17:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
18:15 მძლეოსნობა. სპრინტერები
18:30 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი ჰოლანდიაში
19:30 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
20:30 მძლეოსნობა. IAAF სუპერ გრან-პრი
22:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:00 K 1. მსოფლიო გრან-პრი ავსტრალიაში
00:00 K 1. მსოფლიო გრან-პრი ავსტრალიაში
01:00 ფეხბურთი. ჟურნალი
02:00 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
02:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
02:45 ახალი ამბები
03:00 მულტისპორტი
03:15 ჩოგბურთი. US Open ლეგენდები
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# თბილისური "დერბის" მოკრძალებული ხიბლი

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ტური 16 თებერვალს დაიწყო, თუმცა, ცენტრალურ მატჩს გუშინ უმასპინძლა ეროვნულმა სტადიონმა, რომელშიც თბილისური გუნდები - "დინამო" და "ვიტ ჯორჯია" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ამ გუნდების მონაწილეობით თბილისური "დერბი" ყოველთვის უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. თუმცა, ამ მატჩს ისეთი წინაპირობა ჰქონდა, რომ, საქართველოს ჩემპიონს ბრინჯაოს პრიზიორთან 3 ქულის აღება არ უნდა გასჭირვებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო რაუნდში "ტირანასთან" სამარცხვინო წაგების მიუხედავად, "დინამომ" არათუ შეინარჩუნა საჩემპიონო შემადგენლობა, არამედ გაძლიერდა კიდეც. ბადრი პატარკაციშვილის გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი კი სწორედ ყოფილი ვიტჯორჯიელი, თანაც, გასული ჩემპიონატის ვიცე-ბომბარდირი ლევან მელქაძეა. თავის მხრივ, ვეტერინარებმა, ლევან მელქაძის გარდა, კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი, გიორგი ყიფიანიც გაუშვეს "ტორპედოში". "დინამოსთან" მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო გიორგი ადამიამ, რომელიც გურამ რუხაძის გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ "ვიტ ჯორჯიასა" და იტალიელი სპეციალისტის, ჯანი კარნევალის გზები გაიყარა და ამ სეზონში მას ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს ზურაბ ბერიძის სახით.

"დინამოს" სასარგებლოდ ისიც მეტყველებდა, რომ მე-2 ტურში ვიტელებმა გორის "დილასთან" მტკივნეული მარცხი (0:3) განიცადეს. სწორედ ამ შედეგის შემდეგ ბევრმა "ვიტ ჯორჯიას" საამსეზონო ამბიციებს წერტილიც დაუსვა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ასეთი შეფასება ძალზე ნაადრევია.

ალბათ, დინამოელებმაც იფიქრეს, რომ მეტოქე დიდი წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებდა და ინერტულად დაიწყეს თამაში. თუმცა, პირველივე წუთებზე სტუმრებმა ორჯერ მწვავე მომენტი შექმნეს ზოიძის კართან, რითაც ჩემპიონს აგრძნობინეს, რომ იოლად არაფერს დათმობდნენ. აქვე "დინამოს" პრობლემებზეც შეიძლება საუბარი. ტირანაში მიღებული ტრავმის შემდეგ ჯერაც ვერ მომჯობინდა გუნდის დისპეტჩერი გიორგი ანჩაბაძე. აღარაფერს ვამბობ რატი ალექსიძეზე, რომელმაც, მართალია, ინდივიდუალური პროგრამით განაახლა ვარჯიში, მაგრამ ჩვეული სპორტული ფორმისგან ჯერაც შორსაა. გოგობერიშვილი, დარასელია და, ნაწილობრივ, ბურდული ცდილობდნენ ანჩაბაძის არყოფნით შექმნილი ვაკუუმის ამოვსებას, მაგრამ ამას მაინცდამაინც კარგად ვერ ახერხებდნენ. თუმცა, პირველ ტაიმში "დინამოს" ორჯერ მაინც მიეცა გოლის გატანის რეალური შანსი. ორჯერვე ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა მელქაძე, მაგრამ მან ყოფილი თანაგუნდელების დამწუხრება ვერ მოახერხა – მისი დარტყმები უზუსტო გამოდგა.

მეორე ნახევარში "დინამომ" ხელთ იგდო ინიციატივა და სრულ სათამაშო უპირატესობასაც დაეუფლა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ზუსტი დარტყმის შემსრულებელი არ გამოჩნდა.

68-ე წუთი კულმინაციური გამოდგა – დარასელიამ მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში დიაგონალური გადაცემით ზუსტად ჩააწოდა ბურთი, რომელიც ახალაიას მიუვიდა და ლადომაც ეფექტური თავური დარტყმით გოლი გაიტანა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა ზურა ჯვარიძემ საკმაოდ საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, რამაც დინამოელების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, მაქსიმუმი, რასაც ამ ინციდენტიდან "დინამო" მეშკოვს გამორჩა, ბრაზილიელი და როჩას გაფრთხილება იყო.

მსაჯის საფინალო სასტვენმა მასპინძლებს შეტევის დროს მოუსწრო და ნულოვანი ფრე დააფიქსირა.



კარლოსი ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა

**"დინამო" - "ვიტ ჯორჯია" 0:0**

**"დინამო"**: ზოიძე (გვარამაძე, 46`), და როჩა, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, მელქაძე (იაშვილი, 66`), ახალაია.
**მთავარი მწვრთნელი:** ივო შუშაკი.
**"ვიტ ჯორჯია"**: მერლანი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, დიღმელაშვილი, ნოზაძე, დოლიძე (დათუნაიშვილი, 61`), დეკანოსიძე (მერებაშვილი, 75`), გველესიანი, გოჩაშვილი (მარცვალაძე, 55`), გოცირიძე.
**მთავარი მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე.
**გაფრთხილება:** და როჩა, გველესიანი.
**მსაჯი:** ალექსანდრ მეშკოვი.

**მე-4 ტური**
*16 აგვისტო*
"მცხეთა" – "თბილისი" 3:2
"დილა" – "მერცხალი" 2:1
"ბათუმი" – "ლოკომოტივი" 1:3
*17 აგვისტო*
"დინამო" – "ვიტ ჯორჯია" 0:0
*დღეს გაიმართება:*
"ტორპედო" – "კოლხეთი"
"სიონი" – "სპარტაკი-ლაზიკა"

რალი

# "შევრონი რალი საქართველო 2003" ფარეხში შედგა

პირველი გვერდიდან

"შევრონი რალი საქართველო 2003" ანუ ევროპის ჩემპიონატის საქართველოს ეტაპის მონაწილეთა ეკიპაჟები სამდღიანი ასპარეზობების შემდეგ ავტოფარეხში შედგა. დასრულდა ევროპის ჩემპიონატის მე-4 ეტაპი. თავად ასპარეზობა ადრეულისგან არაფრით განსხვავდებოდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მონაწილეთა გეოგრაფიული არეალი გაიზარდა. ბულგარელებსა და რუსებს ამჯერად თურქებიც შეემატნენ და მათთვის პირველ ქართულ ეტაპზე საკუთარი ფინალიც კი შემოგვთავაზეს. შეჯიბრების პროლოგიდანვე აშკარა იყო, რომ თურქები სამეულში მოხვედრის ყველაზე რეალური კანდიდატები იქნებოდნენ. ასპარეზობის პირველი დღის პირველი წრის შემდეგ, რომელსაც რუსთავის "რუსთავი რინგი" მასპინძლობდა, საერთო ჩათვლაში პირველი-მეორე საფეხურები სწორედ მათ დაიკავეს. თურქებს წარმატება ჰქონდათ შეჯიბრების მეორე დღესაც, ანუ II წრის – სამადლო-შინდისის, ტაბახმელა-კოჯრის, კოჯორ-წყნეთის, ზაჰესი-ჯვრის მონასტრის, მცხეთა-თეატრონის მონაკვეთებზეც. თურქებმა შეჯიბრების დასკვნით დღესაც – ბაგები-წყნეთის, წყნეთი-კოჯრის, კოჯორ-ტაბახმელისა და შინდის-სამადლოს მონაკვეთებზეც სანიმუშოდ იქროლეს.

თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ეკიპაჟის ტექნიკურ გაუმართაობას, რომელმაც ისინი შეჯიბრების მიღმა დატოვა, მთლიანობაში ევროპის ჩემპიონატის საქართველოს ეტაპმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

"ექსპო-ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრიდან აღებული სტარტი იქვე დასრულდა. თუმცა, ვიდრე შეჯიბრების მონაწილე ეკიპაჟები ძრავებს გამორთავდნენ, ტრადიციისამებრ, საკუთარი მანქანებით კვარცხლბეკზე აგუგუნდნენ და შამპანურით წუწაობა გააჩაღეს. ამ მხრივ საერთო ჩათვლაში გამარჯვებული ვოლქან იშიკისა (პილოტი) და ერქან გულერინის (შტურმანი) "FIAT Punto"-ს ეკიპაჟი ძალზე მოკრძალებული ჩანდა, უფრო სწორად, ემოციებისგან თავი შეიკავა. მეორე ადგილზე გასულმა მათმა თანამემამულეებმა, ნეჯატ ავჩისა (პილოტი) და ოზდენ ილმაზის (შტურმანი) "FIAT Palio"-ს ეკიპაჟმა კი შამპანურით მაყურებლისკენ გაიწია და საკმაოდაც გაწუწა. მესამე შედეგი ჰქონდა რუსთა ეკიპაჟს - ალექსეი მატვეევისა (პილოტი) და იური მიხაილოვის (შტურმანი) "მიცუბიში Evo-7"-ს.

ასპარეზობები საქართველოს ჩემპიონატშიც მიმდინარეობდა. ამ მხრივ საუკეთესო იყო ოთარ თავართქილაძისა და ვლადიმირ კუხიანიძის "ჰონდას Civic-ის" ეკიპაჟი. მეორე შედეგი აღმოაჩნდა გიორგი არჯევანიძისა და გიორგი გამბარაშვილის ("Lada-Samara") ეკიპაჟს. მესამე ადგილზე გავიდა შალვა ოგბაიძისა და ლევან იაშვილის "სიტროენ-Saxo"-ს ეკიპაჟი.

პრესკონფერენციაზე, მიუხედავად იმისა, რომ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა, ვიქტორ თოდაძე "შევრონი რალი საქართველო 2003"-ით კმაყოფილი ჩანდა: "აშკარაა, რომ შარშანდელთან შედარებით შეჯიბრების დონემ აიწია. თუმცა, ტექნიკურად ისევ ჩამოვრჩებით უცხოელ მეტოქეებს. რაც შეეხება თავად ასპარეზობის ორგანიზაციულ მხარეს, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ყველაფერი კარგად იყო გათვლილი. ამის იქით უკვე მსოფლიო ჩემპიონატია. შეჯიბრების დირექტორიც (ალექსანდრ ბოშნაკოვი, ბულგარეთი) კმაყოფილია. თუ წლეულს სტარტზე 19 ეკიპაჟი გავიდა, გაისად მათი რიცხვი, ალბათ, 60-ს მიაღწევს".

"შევრონი რალი საქართველო 2003"-ის პრიზიორთა დაჯილდოება "ბერიკონში" გაიმართა.




რალის გამარჯვებული თურქული ეკიპაჟი პოდიუმზე

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ გერმანიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში არ გამოუძახა "მილანის" ფორვარდ ფილიპო ინძაგის. მისი ადგილი "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ტურინის "იუვენტუსის" ახალბედა ფერნანდო მიკოლიმ დაიკავა. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, მან ძირითად შემადგენლობაში დაიკავოს ადგილი. ტრაპატონიმ გუნდში მაგიურ სამკუთხედს (ტოტი, ვიერი, დელ პიერო) უხმო.

ნაკრების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: ბუფონი, ტოლდო, კანავარო, ფერარა, გროსო, ლეგროტალიე, ნესტა, ოდო, პანუჩი, ამბროზინი, კამორანეზი, ტაკინარდი, ძამბროტა, ფიორე, პეროტა, ძანეტი, კორადი, დელ პიერო, მიკოლი, დელვეკიო, ტოტი, ვიერი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პაოლო მალდინი ევროპის სუპერთასის მატჩს გამოტოვებს. მან ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ერთი თვით გამოაკლდა გუნდს. ის ვერც იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კლოდ მაკელელე აგრძელებს მადრიდის "რეალის" ვარჯიშების ბოიკოტს. ის ვარჯიშზე ოთხშაბათიდან აღარ გამოცხადებულა და ხელფასის ორჯერ გაზრდას ითხოვს. კლუბს არ სურს დააკმაყოფილოს ფეხბურთელის მოთხოვნა და საჩივრით ფიფას მიმართა. ამასთან, "რეალი" აპირებს ფეხბურთელს აუკრძალოს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "ლა გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, რუსმა ფეხბურთელმა ალექსეი სმერტინმა კონტრაქტი გააფორმა ლონდონის "ჩელსისთან". თუმცა, ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გამომზეურებულა - აცხადებს გაზეთი. იტალიელი კოლეგების ვარაუდით, სმერტინი ნახევარდაცვაში არგენტინელ ხუან სებასტიან ვერონს დაეხმარება. "არისტოკრატთა" კლუბში მისი გადასვლა ეჭვქვეშ დააყენებს კლუბში ფრანგი ემანუელ პეტის დარჩენის საკითხს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 34 წლის გაბრიელ ბატისტუტამ დატოვა იტალია, რომელსაც თავისი საფეხბურთო კარიერის 11 წელიწადი მიუძღვნა და კატარს მიაშურა. ბატისტუტამ კონტრაქტი გააფორმა კლუბ "ელ-არაბისთან", რომლის შემადგენლობაშიც ორ წელიწადს ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რიგის "სკონტოს" ოთხი ფეხბურთელი დაუბრუნდა. ზურაბ მენთეშაშვილი, მიხაილ მიხოლაპი და ოლეგ ბლაგონადეჟდინი "ალანიადან" და მარის ვერპაკოვსკი ინგლისიდან, სადაც ის "ვულვერჰემპტონის" შემადგენლობაში სინჯებზე იმყოფებოდა. ეს ფეხბურთელები თავისი გუნდის შემადგენლობაში უახლოეს მომავალში ითამაშებენ. სამი ალანიელი" კი რევაზ ძოძუაშვილის გუნდიდან წასვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა. ამიტომ ისინი წლის ბოლომდე იჯარის წესით "სკონტოში" დარჩებიან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულის" მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ მზად არის, გუნდიდან გაუშვას გერმანელი მარკუს ბაბელი, რომელსაც "ბლექბერნი" ეპატიჟება. "მარკუსი სწრაფად აღიდგენს ფორმას. სიმართლე გითხრათ, გაკვირვებულიც ვარ, მაგრამ დაცვაში ჩვენთან დიდი კონკურენციაა და მე არ შემიძლია, ბაბელს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავუჯავშნო. ამჟამად "ბლექბერნი" მოლაპარაკებას აწარმოებს ფეხბურთელის აგენტთან და თუ ის წარმატებით დასრულდება, ჩვენ ბაბელს წინაღობას არ შევუქმნით", - ამბობს ულიე. მარკუს ბაბელი 2000 წელს მიუნხენის "ბაიერნიდან" "ლივერპულში" გადავიდა. მან გუნდში ერთი სეზონი ჩაამთავრა და შემდეგ ტრავმის გამო მოვლენებს დიდი ხნით ჩამოსცილდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" კონტრაქტი გაწყვიტა ლიტველ ცენტრ არვიდას საბონისთან. "ჩვენ მისი გაყიდვის თაობაზე ბევრ კლუბთან ვაწარმოებდით

მოლაპარაკებას, მაგრამ საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა", - თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯონ ნეშმა. შეგახსენებთ: რამდენიმე დღის წინ საბონისმა განაცხადა, რომ ამერიკაში აღარ დაბრუნდება, რადგან სურს, ოჯახს მეტი დრო დაუთმოს. "ოჯახის აქ გადმოყვანა ძალიან გამიჭირდება. მისგან შორს ყოფნა კი უფრო ძნელი იქნება", - თქვა საბონისმა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** რალფ შუმახერმა "უილიამსთან" კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. გერმანული "ბილდის" ცნობით, რალფი, ხელფასის სახით, 15 მილიონ დოლარს ითხოვდა. ფრენკ უილიამსი კი მზად იყო, პილოტისთვის მხოლოდ 9 მილიონი გადაეხადა. ბოლოს მხარეები 12 მილიონზე შეთანხმდნენ.

■ ■ ■

**ფრენბურთი.** პოლონეთში მიმდინარეობს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფრენბურთში. გამოვლინდნენ გუნდები, რომლებიც ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ. პირველ ნახევარფინალში იტალიის ნაკრები იოლად - 3:0 გაუსწორდა ამერიკელებს. ჩინელებმა კი დრამატულ ბრძოლაში დაძლიეს ბრაზილიელთა წინააღმდეგობა - 3:2 და ფინალში იტალიის ნაკრებს გაეჯიბრებიან.

# არნოლდი და სხვები ანუ კალიფორნიული "ბალაგანი"

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

დამაბნეველი შეკითხვაა: რამდენი კანდიდატია წამოყენებული კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე? თუ თქვენ საგანგებოდ და დაჟინებით არ ადევნებთ თვალყურს საარჩევნო ბრძოლას აშშ-ს ამ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ შტატში, ვერაფრით ვერ მოახერხებთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას (ეს ბრძოლა მას შემდეგ გაღვივდა, რაც ხელმოწერათა საკმარისი რაოდენობა შეგროვდა ახლანდელი გუბერნატორის - გრეი დევისის გადაყენების მოთხოვნით). ის კი არადა, ვერც კი გამოიცნობთ. კალიფორნიის გუბერნატორის თანამდებობისკენ ექვსასამდე ადამიანი მიილტვის. ეს მსოფლიო რეკორდია.

რამდენიმე სიტყვით თვითონ არჩევნების შესახებ მოგახსენებთ. გუბერნატორის არჩევნები 7 ოქტომბერს გაიმართება. ბიულეტენებში ორი პუნქტი იქნება მითითებული: ახლანდელი გუბერნატორის წასვლისა და ახალი გუბერნატორის არჩევის თაობაზე. თუ ამომრჩევლები პირველ პუნქტს დაეთანხმებიან, კალიფორნიის გუბერნატორი ის კანდიდატი გახდება, რომელიც თანამდებობის მრავალრიცხოვან მაძიებელთა ბატალიონში ხმათა უმრავლესობას მოაგროვებს. სწორედ ამ უცნაურმა სისტემამ მიიზიდა კანდიდატების დიდი ნაწილი, გუბერნატორის სკამზე გაძრომისათვის ხმათა მიზერული რაოდენობაც საკმარისია, მთავარია, სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა დაგიგროვდეს.

და კიდევ, მოსალოდნელი არჩევნების ერთი უჩვეულო თავისებურება. კალიფორნიის ახლანდელი გუბერნატორი დევისი დემოკრატია. დემოკრატიული პარტიის განცხადებით, მის გადასაყენებლად ხელმოწერების შეგროვება უკანონო და თაღლითური ქმედებაა, რასაც დემოკრატები დაუპირისპირდნენ. მათ დევისის სოლიდარობის ნიშნად გადაწყვიტეს, არ წამოეყენებინათ საკუთარი კანდიდატი. მაგრამ შტატის უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა, რომ რეფერენდუმი დევისის გადადგომის შესახებ კანონიერია, დემოკრატები სახიფათო ხაფანგის წინაშე აღმოჩნდნენ: თუ ბიულეტენის პირველ პუნქტს ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს, მაშინ დემოკრატები, რომლებიც საკუთარ კანდიდატს არ წამოაყენებენ, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი შტატის გუბერნატორის თანამდებობას დაკარგავენ. ასე რომ, მათ სულ დაავიწყდათ სოლიდარობა და გადაწყვიტეს თავი დაეზღვიათ. ბოლო მომენტში დემოკრატების კანდიდატებად დარეგისტრირდნენ ახლანდელი ვიცე-გუბერნატორი კრუზ ბუსტამანტე და გარამენტი.

მოახლოებულ გუბერნატორის არჩევნებს მთელი ქვეყანა, მათ შორის კალიფორნიელებიც, ცირკსა და ბალაგანს უწოდებენ. "საყოველთაო დაცინვის საგნად ვიქეცით", - ამბობენ კალიფორნიის მცხოვრებლები. ეს, პირველ რიგში, კანდიდატების სიას ეხება. კანდიდატებს შორის არიან: ბეისბოლის ყოფილი კომისიონერი და ლოს ანჟელესის 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი პიტერ იუბეროტი, ჟურნალისტი-მილიონერი არიანა ჰაფინგტონი, მისი ყოფილი ქმარი და თვით შავკანიანი ლილიპუტი კოულმენიც, რომელიც სატელევიზიო საბავშვო სერიალებში თამაშობს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ორი მიზეზის გამო აპირებს: პირველ რიგში, კალიფორნიელი ლილიპუტების ინტერესების დასაცავად და მეორე იმიტომ, რომ "არჩევნებმა მხიარულად და თავშესაქცევად ჩაიაროს". (ეს მისი სიტყვებია). თუმცა, საზოგადოების აზრით, არჩევნები ისედაც თავშესაქცევი იქნება.

გუბერნატორის თანამდებობისთვის მებრძოლ ექვსას კანდიდატს შორის ყველაზე ცნობილი, რა თქმა უნდა, ჰოლივუდის სუპერ-ვარსკვლავი არნოლდ შვარცნეგერია. მას შემდეგ, რაც თავისი ახალი ფილმის - "ტერმინატორ-3"-ის სარეკლამო ტურნე დაასრულა, შვარცნეგერი ამოუსუნთქავად და სიჩქარის შეუცვლელად ჩაება საარჩევნო ბრძოლაში. ეს გადასვლა ძალზე ბუნებრივად მოხდა და არც იყო გასაკვირი. არნოლდი ხომ ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე საქონელს უკეთებს რეკლამას - საკუთარ თავს! თვით ტერმინოლოგიაც კი უცვლელია - ტერმინატორული. Hasta la vista, baby! და სხვა ამის მსგავსი.

შვარცენეგერს იმიჯი საარჩევნო განცხადების გაკეთების დროსაც არ შეუცვლია. გუბერნატორის თანამდებობაზე კენჭისყრის სურვილი მსახიობმა თავისი ამომრჩევლების შეკრებაზე კი არა, "ენ-ბი-სის" ღამის თოქ-შოუში განაცხადა. ეს მოხდა ქალაქ ბერბენკში, რომელიც აშშ-ს სატელევიზიო დედაქალაქად ითვლება. თოქ-შოუ კომიკოს ჯეი ლენოს მიჰყავდა. შოუს ფორმატი არნოლდისთვის მეტისმეტად ხელსაყრელი იყო. სერიოზული პრობლემების განხილვის ნაცვლად ოხუნჯობდა, ათამაშებდა სიტყვას - recall, რასაც ინგლისურად ორი მნიშვნელობა აქვს: "გამოხმობა" და "გახსენება". არნოლდი ითხოვდა დევისის გამოხმობას, იხსენებდა მის ცოდვებს და, ამავე დროს, იგონებდა თავის ფილმს - Total Recall ("ყველაფრის გახსენება"). შოუს წამყვანის დიდი მცდელობის მიუხედავად, მსახიობი ყეყეჩად გამოიყურებოდა და მისი სიტყვებიც ბრიყვულად ჟღერდა. მართალია, ვარსკვლავს პიჯაკშიც კი ეტყობოდა კუნთები, მაგრამ ეს მის უკბილო ხუმრობებს ვერაფერს შველოდა...

პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჰოლივუდი პოლიტიკაში მიძვრება. როგორც წესი, ასე იქცევიან დემოკრატები, რომლებიც ჰოლივუდში ბატონობენ. თუმცა, რესპუბლიკელებსაც სურთ პოლიტიკური როლები მოიპოვონ. ამას ჯერ კიდევ პრეჰოლივუდურ ეპოქაში ბერნამმა ჩაუყარა საფუძველი. ბერნამი, რომელმაც შექმნა საცირკო წარმოდგენა - "ყველაზე დიდი შოუ დედამიწაზე", კონექტიკუტის შტატის კონგრესის წევრი გახლდათ; შირლი ტემპლი, ისტორიაში ყველაზე ცნობილი მსახიობი-ბავშვი, აშშ-ს წარმომადგენელი იყო გაეროში და ელჩის ფუნქციებს ასრულებდა; ჰოლივუდის მომღერალი და მოცეკვავე ჯორჯ მერფი, წარმოშობით კალიფორნიელი, სენატორი გახდა, მან დაამარცხა პრეზიდენტ კენედის ყოფილი პრეს-მდივანი პიერ სელინჯერი (სხვათა შორის, ტემპლი და მერფი 1938 წელს მთავარ როლებს ასრულებდნენ კინომიუზიკლში "პატარა მის ბროდვეი"); კალიფორნიის ქალაქ პალმ-სპრინგსის მერი, შემდგომში კი კონგრესმენი იყო მომღერალი სონი ბონო; დაბოლოს, რონალდ რეიგანი, რომელიც კალიფორნიის გუბერნატორიც იყო და აშშ-ს ორგზის პრეზიდენტიც.

სწორედ ასე აპირებს ცხოვრების აწყობას არნოლდ შვარცენეგერიც, თუმცა თეთრ სახლს მისთვის მწვანე შუქი არ აუნთია (კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტობის უფლება მხოლოდ ამ ქვეყანაში დაბადებულ ადამიანს აქვს, არნოლდი კი ავსტრიაში დაიბადა).

როცა ახალგაზრდა შვარცენეგერმა პირველად დადგა ფეხი ქრისტოფორ კოლუმბის მიერ აღმოჩენილ მიწაზე, მას მადა გაეხსნა და საკუთარი სურვილები მოურიდებლად გააცხადა: "კინობიზნესში წავალ როგორც მსახიობი, პროდიუსერი და რეჟისორი. 30 წლისთვის ვარსკვლავიც გავხდები და მილიონერიც. ცოლად მოვიყვან ლამაზ და ჭკვიან ქალს." მაშინ ავსტრიელი კულტურისტის ამ სიტყვებს ღიმილით შეხვდნენ და ახალგაზრდა კაცს ტრაბახში ჩაუთვალეს. მაგრამ არნოლდმა სიტყვა არ გატეხა, ის კი არა, გადააჭარბა კიდეც, თავის თავზე აღებული ვალდებულებები თავგადაკლული სტახანოველივით შეასრულა. შვარცენეგერი მარტო კინომსახიობი კი არა, სუპერვარსკვლავი გახდა, მილიონერობას აპირებდა და იქცა მულტიმილიონერად, რომელსაც უზარმაზარ თანხას უხდიან ჰოლივუდში (30 მილიონი დოლარი "ტერმინატორ-3"-ში), ის უბრალოდ ლამაზ და ჭკვიან ქალზე კი არა, პრეზიდენტ კენედის ახლო ნათესავზე დაქორწინდა, ჟურნალისტსა და ტელეწამყვან მარია შრაივერზე. კენედის კლანმა მიიღო არნოლდი, მიუხედავად იმისა, რომ ის რესპუბლიკელი იყო და არა დემოკრატი (ამასთან დაკავშირებით მარიამ წინასაარჩევნო კამპანიისთვის ტელევიზიაში შვებულება ითხოვა, რათა არც თავის კლანს ესროლოს და არც საკუთარ ქმარს).

კინომ და ქორწინებამ შვარცენეგერს გზა გაუხსნა მაღალ საზოგადოებაში. კენედის კლანის ფრთა მის რესპუბლიკანურ "ფაქტურას" იფარავდა. "არნოლდი ვარსკვლავი იყო ისეთ წვეულებებზეც კი, სადაც ბრწყინავდნენ ჰოლივუდის პოლიტიზირებული ვარსკვლავები, მაგალითად, დემოკრატი უორენ ბიტი, - ამბობს რეჟისორი და სცენარისტი ლაიონელ ჩეტვინდი, - არნოლდის წყალობით ჰოლივუდელმა რესპუბლიკელებმა, რომლებიც თავიანთ პარტიულობას მალავდნენ, გარისკეს და თავი წამოყვეს.



შვარცენეგერი მეუღლესთან მარია შრაივერთან ერთად



რეიგანმაც კალიფორნიის გუბერნატორობით დაიწყო

როდესაც შვარცენეგერმა გუბერნატორი დევისი ბრძოლაში გამოიწვია, მისი დემოკრატი მეგობრები საგონებელში ჩავარდნენ: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? გავხდეთ კენედის კლანის უძღები შვილები? – ერთმანეთს ეკითხებოდნენ ისინი. არნოლდის მეუღლის მეგობარი, მწერალი ბარბარა ჰოუვორდი ამის შესახებ აცხადებდა: “ხალხი დაბნეულია, აღარ იცის, როგორ განასხვავოს ერთმანეთისგან ელიტარული კავშირები პოლიტიკურისგან; ვის დაუჭიროს მხარი. ეს ადამიანები ხომ ერთმანეთის გარეშე არც სადილს მიირთმევენ და არც ერთობიან; ისინი ხომ ერთი და იმავე ფულის ტომრებით ცეკვავენ “ჩიჩოტკას“.

ჰოლივუდელი მილიარდერი-ოლიგარქი, დემოკრატი დევიდ გეფენი კი ძალიან დამწუხრებულია იმის გამო, რომ მას შვარცენეგერის – “დემოკრატების მოხერხებული და ურყევი ნების მქონე კონკურენტის – მეტოქეების დაფინანსება მოუწევს.

საგულისხმოა რეჟისორი-პროდიუსერის ჯორჯ ბატლერის მოსაზრებაც – იმ კაცისა, რომლის დოკუმენტურმა ფილმმაც არნოლდის შესახებ (1977 წ.) ავსტრიელი ბოდიბილდერი (კულტურისტი) ამერიკული ცხოვრების სტილის გმირად აქცია. ბატლერი იხსენებს შვარცნეგერთან თავის პირველ შეხვედრას ნიუ იორკში და ჰყვება: “არნოლდი ერთდროულად ძალიან გონიერი და მეტისმეტად გაუშალაშინებელი იყო. ჩანდა, უზარმაზარი ამბიცია აწუხებდა. თურმე, სულ ესიზმრებოდა სიზმარი, რომ ვითომ “პლანეტის მეფე” იყო. ის თავიდანვე უმიზნებდა დიდებას, ძალაუფლებასა და სიმდიდრეს. გულუბრყვილობის მიუხედავად, ხვდებოდა, რომ ფული ძლიერებასა და გავლენას ნიშნავს. არნოლდს შველოდა კიდევ ერთი გარემოება, წარსულის გახსენებაზე სენტიმენტალური მოგონებები არასდროს იპყრობდა. ერთი სიტყვით, მართალია, ჯერ კიდევ სულ “თოთო” იყო, მაინც კლავდა სწრაფი წინსვლის სურვილი. ამიტომაც მათ, ვინც არნოლდს იმ შორეული წლებიდან მოყოლებული იცნობს, არც გაკვირვებიათ, რომ შვარცნეგერის ამბიციები კინოს გასცდა და რომ მან ყოვლისშემძლე გუბერნატორის თანამდებობის ხელში ჩაგდებაც მოინდომა. ჩვენ ყოველთვის ველოდით, რომ რაღაც მსგავსი აუცილებლად მოხდებოდა”. “ტერმინატორ-3”-ის დამდგმელი რეჟისორი ჯონათან მოსტოუ კი იგონებს, რომ შვარცენეგერი თან ფილმს იღებდა, თან საარჩევნო კამპანიისთვის ემზადებოდა. “არნოლდის სანახავად გადასაღებ მოედანზე უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა პოლიტიკური მოღვაწეების მთელი ამალა – გუბერნატორები, მერები, სენატორები, ერთხელ თვით ექს-პრეზიდენტი ბილ კლინტონიც კი გამოჩნდა”, - იგონებს მოსტოუ.

